# საქართველოს რესპუბლიკა


იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 11 აპრილი, 2013 წელი.

№66-67 (7194)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge | ვებ გვერდი: www.open.ge | ფასი 50 თეთრი.


## ბიძინა ივანიშვილი: არ ვთვლი ჩემს თავს პოლიტიკოსად, მინდა, რაც შეიძლება მალე დავბრუნდე საზოგადოებაში და საზოგადოებასთან ერთად დავეხმარო ჩვენს ქვეყანას განვითარებაში

2-3



## შეუსრულებელი დაპირებები

4

## ხელფასი უნდა ეყოს მინისტრს თუ მინისტრი - ხელფასს?



8

## 9 აპრილი

5



## მოცალეობის ჟამის ჩანაწერები არაფერზე

6

## სასკოლო სახელმძღვანელოებზე მონოპოლისტებს ფრთები შეეკვეცათ

9



## რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

# ბიძინა ივანიშვილი: არ ვთვლი ჩემს თავს პოლიტიკოსად, მინდა, რაც შეიძლება მალე დავბრუნდე საზოგადოებაში და საზოგადოებასთან ერთად დავეხმარო ჩვენს ქვეყანას განვითარებაში



**— მე არ ვთვლი თავს პოლიტიკოსად, — განაცხადა პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა გუშინ ტელევიზიებისა და გაზეთების მთავარ რედაქტორებთან შეხვედრაზე.**

„გასული 20 წლის განმავლობაში პარტიებს განვითარება არ ეწერათ. იდეოლოგია ჰქონდათ, იგივე „რესპუბლიკელებს“, „ფორუმს“, მაგრამ საკმაოდ სუსტები იყვნენ, ამაში ლომის წილი მოქმედ პრეზიდენტს მიუძღვის. შეიძლება საპირისპიროს ვცდილობ მე და გეთანხმებით, რომ ჩემი მხრიდან ის, რომ მოვუწოდებ პოლიტიკურ ძალებს და ახალ პარტიებს, განვითარდნენ, კითხვებს და უხერხულობას იწვევს, მაგრამ მინდა, გითხრათ, რომ მე არ ვთვლი თავს პოლიტიკოსად და არც მომავალში ვაპირებ დიდ პოლიტიკურ ბრძოლას და ომს. მე თავს ვთვლი ქვეყნის შვილად, მინდა, რაც შეიძლება სწრაფად დავბრუნდე საზოგადოებაში და საზოგადოებასთან ერთად დავეხმარო ჩვენს ქვეყანას განვითარებაში. მე არ ვთვლი, რომ მოვედი, როგორც პოლიტიკური იდეოლოგიის მატარებელი და პოლიტიკური პარტიის შემქმნელი, არც მომავალში მაქვს მსგავსი პრეტენზია. რაღაც ეტაპი, რაც აუცილებელი იქნება, მე კიდევ მოვემსახურები ჩემს ქვეყანას, შემდეგ უფრო საინტერესო ადგილზე ვნახავ ჩემს როლს და იქიდან ვიმუშავებ. ესაა ჩემი პასუხი ჩემს მიმართ არსებულ კითხვებზე“, — აღნიშნა ივანიშვილმა.

ამასთან, პრემიერმა დასძინა, რომ კოალიციის შიგნით არანაირი ანტაგონიზმი არ არსებობს, უბრალოდ დახვეწილი არ იყო თითოეული პარტიის იდეოლოგია ქმედებაში, ფურცელზე ყველას ეწერა. შესაძლებელია, ამიტომაც გახდა მარტივი ყველა პარტიის ერთად შედუღაბება.

* * *

**ანდრეი რაპაპორტს „თბილწყალკანალის“ გაყიდვა გადავაფიქრებინე, — განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა „ბლუმბერგის“ კითხვის საპასუხოდ.**

მისივე თქმით, რაპაპორტს მაშინ შეხვდა, როცა ის ანატოლი ჩუბაისის მოადგილე იყო.

„ის ჩამოსული იყო და შევხვდი. თუ არ ვცდები, „თბილწყალკანალს“ ფლობს და თქვა, რომ ამ კომპანიის გაყიდვა სურდა. მე მას ვაჩვენე, რომ დამოკიდებულება იქნება განსხვავებული. მან გაყიდვა გადაიფიქრა და აპირებს, განავითაროს ეს კომპანია. დავოსში შეხვედრისას ანატოლი ჩუბაისსაც შევთავაზე, განვახორციელოთ საქართველოში საინტერესო პროექტები ნანოტექნოლოგიების სფეროში“, — განაცხადა პრემიერმა.

პრემიერის ინფორმაციით, რუსებს საქართველოსადმი დიდი ნოსტალგია აქვთ, სწორედ ამიტომ მათ მიერ სხვადასხვა სფეროში ინვესტირება სავსებით რეალურია.

„ჩვენ უნდა დავალაგოთ რუსეთთან ურთიერთობა. იმედია, რუსეთის ბიზნესის დიდი ინტერესი იქნება საქართველოში და განახორციელებენ ინვესტიციებს სხვადასხვა სფეროში. პრობლემაა პროექტების სიმწირე. არ არის დიდი არჩევანი, სად გავაკეთოთ ინვესტიცია, მაგრამ ბაზარი ამასაც თავად გადაწყვეტს“, — განაცხადა ივანიშვილმა.

როგორც პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, საქართველომ რუსეთთან ურთიერთობების განვითარება ისე უნდა შეძლოს, რომ, უწინარესად, საკუთარი ინტერესები დაიცვას. ამავდროულად, ბიძინა ივანიშვილის თქმით, საქართველომ უნდა შეინარჩუნოს მჭიდრო თანამშრომლობა თურქეთსა და აზერბაიჯანთან.

* * *

**ერთი-ორი ელჩი ახერხებდა თავისი ქვეყნებისთვის სუბიექტური ინფორმაციის მიწოდებას, — განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა შვეიცარიის ელჩის წერილზე საუბრისას. მისი თქმით, ის მადლობას უხდის გიუნტერ ბეხლერს აღნიშნულ წერილთან დაკავშირებით.**

„ძალიან საინტერესო ელჩი ჰყავს შვეიცარიას და მასთან ხვალ მაქვს შეხვედრა. მადლობა მინდა ვუთხრა ამ წერილთან დაკავშირებით. ყველა ელჩს ჰქონდა ობიექტურ ინფორმაციაზე შექმნილი განწყობა. ერთი-ორი ელჩი, არ დავასახელებ მათ, ახერხებდა სუბიექტური ინფორმაციის მიწოდებას თავისი ქვეყნებისთვის და საქართველოშიც ჰქონდათ ასეთი პოზიცია. შვეიცარიის ელჩი გამორჩეული იყო და მადლობას გადავუხდი ქვეყნის სახელითაც, რადგან არჩევნების პერიოდში, როდესაც ოპოზიციას ძალიან უჭირდა, ის პირადად დაყვებოდა ოპოზიციონერებს რეგიონში და ძალიან ბევრ ფაქტს უშიშრად აფიქსირებდა“, — განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

* * *

**ნორმალურია, რომ უცხოელმა ფერმერებმაც მიიღონ მონაწილეობა საქართველოს სოფლის მეურნეობის აღორძინებაში, — განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა უცხოელი ფერმერების მიერ ქართული მიწების გახშირებული შესყიდვის ფაქტებზე დასმული შეკითხის საპასუხოდ.**

ბიძინა ივანიშვილის განმარტებით, ახალ მთავრობას არ აქვს უფლება, წინა ხელისუფლების მიერ კანონიერად განხორციელებული შეთანხმებები დაივიწყოს, „ფურცელი დახიოს“ და „ყველაფერი თავიდან დაიწყოს“.

„მიწების საკითხით აღშფოთებული ძალიან ბევრი მოქალაქე მინახავს, მაგრამ ჩვენ როგორც არ უნდა მოგვწონდეს წინა ხელისუფლება, თანმიმდევრულები უნდა ვიყოთ და პატივი ვცეთ ჩვენს ქვეყანას. არ გვაქვს უფლება ის, რაც კანონიერად განხორციელდა წინა ხელისუფლების მიერ, დღეს დავხიოთ, გადავყაროთ და ყველაფერი თავიდან დავიწყოთ. ამას ყველაფერს ანგარიში უნდა გავუწიოთ. ვფიქრობ, ზოგიერთ შემთხვევაში შეფასება გადაჭარბებულია. ნორმალურია, რომ უცხოელი ფერმერებიც იყვნენ საქართველოში და მათაც მიიღონ მონაწილეობა სოფლის მეურნეობის აღორძინებაში. ამაში ცუდი არაფერია. არის ადგილები, სადაც აშკარად ჩანს, რომ წინა ხელისუფლებას ჰქონდა მცდელობა, მოეხერხებინა და საუკეთესო მიწები გაესხვისებინა. არსებობს კითხვები კანონიერების შესახებ, მაგრამ აქაც ფრთხილად უნდა ვიყოთ“, — განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

მისივე განმარტებით, საკმარისია ახალი მთავრობის ერთი არაადეკვატური ქცევა და ეკონომიკურ აღორძინებასთან დაკავშირებით არსებული იმედები დიდი კითხვის ქვეშ დადგება.

„საკმარისია, ჩვენ ერთი არაადეკვატური ქმედება განვახორციელოთ უცხოური ინვესტორის მიმართ და გარწმუნებთ, ეს ჯაჭვური რეაქციის სახით გადაედება მთელს ეკონომიკას და მას სწრაფად გაიგებს მთელი ბიზნესელიტა. ჩვენ ძალიან ვფრთხილობთ. მე იმასაც არ დაგიმალავთ, რომ „ბრჭყალებში“ ბიზნესმენებთანაც კი ვფრთხილობ და ვცდილობ, სამართლებრივ სივრცეში დაბრუნდნენ და გააგრძელონ მოღვაწეობა. ბიზნესი ფრთხილი საქმეა, თუ ჩვენ ოდნავ მაინც უკანონო ქმედება ჩავიდინეთ, სავალალო შედეგს მივიღებთ. შეგვიძლია, გავასწოროთ 2-3 შემთხვევა მიწებთან დაკავშირებით და ტოტალურად დავაზიანოთ ჩვენი ეკონიმიკა, მარამ ეს იმას არ გამორიცხავს, რომ ჩვენ ამ პროცესებს არ გამოვირკვევთ, ოღონდ ეს სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს. ვერ მოხდება, რომ მინისტრი მივიდეს, რაღაც საბუთზე უარი თქვას და ახალი გამოწეროს“, — აღნიშნა პრემიერმა.

* * *

**ერთ-ორ მინისტრზე და სამინისტროზე კითხვები არსებობს, — განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა, — მაგრამ, მიუხედავად კითხვებისა, არავის ცვლილება არ იგეგმება.**

„რაც შეეხება ზოგადად მთავრობას, კარგი იქნება, თუ შემახსენებთ, რომელი მინისტრი არ მოგწონთ. საკმაოდ ეფექტური მთავრობა და კარგი მინისტრები გვყავს. არის კითხვები ერთ-ორ მინისტრზე და სამინისტროზე და არ ვიჩქარებ ამაზე საუბარს. თუმცა, არაფერი კატასტროფა არ არის. არავის შეცვლას არ ვაპირებთ. სუსტ ადგილებში ბევრ დროს ვხარჯავ და ვეხმარები. მაქვს რაღაც კითხვები, თუმცა, არ ვიჩქარებ და იქნებ შიგნითვე დავარეგულიროთ. ძალიან კარგი მთავრობა გვყავს და არავითარი ცვლილებები არ იგეგმება“, — განახცადა ბიძინა ივანიშვილმა.

ამასთან, პრემიერმა ისაუბრა საჯარო სკოლებში სახელმძღვანელოების მოსწავლეებისთვის უფასოდ გადაცემის გადაწყვეტილებაზე და აღნიშნა, რომ ეს ბევრ ოჯახს გაუკეთებს შეღავათს.

* * *

**საქართველოს პრემირ-მინისტრი ოფშორული კომპანიებით სარგებლობაში პრობლემას ვერ ხედავს.**

„ვერ დამისახელებთ ვერც ერთ ბიზნესმენს, ვინც ოფშორული კომპანიებით არ სარგებლობს. ეს ნორმალური ფაქტია და არც მე ვარ გამონაკლისი. რუსეთში ბიზნეს საქმიანობისას, წლების წინათ, შევქმენი პრეცედენტი და გამოვაცხადე, ჩემი ბიზნესის კონკრეტული აქციონერები, ასევე აღვნიშნე, რომ მთლიანად მე ვიყავი „რასიისკი კრედიტის“ მფლობელი. ამის ვალდებულება არ მქონდა, მაგრამ გამოვაცხადე, რადგან გამჭვირვალობა ჩემი ცხოვრების წესია. ადამიანმა არ უნდა იცრუოს“, — განაცხადა პრემიერმა.

მისივე განმარტებით, ვირჯინიის კუნძულებზე დარეგისტრირებული კომპანიის სახელიც კი არ ახსოვს, რადგან მნიშვნელოვანი კომპანია არ იყო.

„მას მართავს მთელი ჯგუფი და მისი სახელი რომ მახსოვდეს, გამორიცხულია. ჩემს დეკლარაციაზე, ვფიქრობ, კითხვები არ არსებობს. ის, რომ ბიზნესმენი ოფშორულ კომპანიას იყენებს, ჩვეულებრივი პრაქტიკაა. თუკი რამე ცდომილება იქნება, აუცილებლად გამოვასწორებ. არ გამოვრიცხავ, რომ იყოს ცდომილება და თუ დავჯარიმდები კანონმდებლობით, პრობლემა ამაშიც არ იქნება“, — აღნიშნა პრემიერმა.

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ვირჯინიის კუნძულებზე რეგისტრირებული ოფშორული კომპანიების მფლობელთა რიცხვში გასულ კვირას ბრიტანულმა გამოცემა „გარდიანმა“ აღმოაჩინა.

* * *

**პროკურატურასთან კითხვები მეც მაქვს, — განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა. მისივე განმარტებით, ზოგჯერ პროკურორებთან დაკავშირებით ანეკდოტური სიტუაციაც კი იქმნება, თუმცა წინა ხელისუფლების დროს მომუშავე „ძველი კადრების“ ერთბაშად ჩანაცვლება ვერ ხერხდება.**

„რაც შეეხება პროკურატურას, კითხვები მეც მაქვს. ბევრი თანამშრომელი აგრძელებს მუშაობას, რომელიც წინა ხელისუფლების დროსაც საქმიანობდა. ზოგიერთი საქმე ანეკდოტურიცაა, რადგან მითხრეს, რომ ზოგჯერ იგივე პროკურორი იძიებს თავიდან საქმეს, რომელიც წინა ხელისუფლების დროს იძიებდა. პროკურატურას სჭირდება კვალიფიციური პროკურორები. თუ პოლიციაში შეიძლება ნებისმიერი ტიპის თანამშრომელი მიიყვანო და დაასაქმო, ეს არ შეიძლება პროკურატურაში. პროკურორებს სჭირდებათ გამოცდილება, პრაქტიკა, შესაბამისად, დღესაც შეუძლებლად მიმაჩნია ის, რომ მასობრივად შეგვეცვალა პროკურატურის თანამშრომლები“, — განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

**რაც შეეხება პროკურატურას, კითხვები მეც მაქვს. ბევრი თანამშრომელი აგრძელებს მუშაობას, რომელიც წინა ხელისუფლების დროსაც საქმიანობდა. ზოგიერთი საქმე ანეკდოტურიცაა, რადგან მითხრეს, რომ ზოგჯერ იგივე პროკურორი იძიებს თავიდან საქმეს, რომელიც წინა ხელისუფლების დროს იძიებდა. პროკურატურას სჭირდება კვალიფიციური პროკურორები. თუ პოლიციაში შეიძლება ნებისმიერი ტიპის თანამშრომელი მიიყვანო და დაასაქმო, ეს არ შეიძლება პროკურატურაში. პროკურორებს სჭირდებათ გამოცდილება, პრაქტიკა, შესაბამისად, დღესაც შეუძლებლად მიმაჩნია ის, რომ მასობრივად შეგვეცვალა პროკურატურის თანამშრომლები.**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

მისივე განმარტებით, საკადრო ცვლილებების პროცესი პროკურატურაში დაწყებულია და ახალი კადრების მიღება მიმდინარეობს.

„ეტაპობრივად, ნელ-ნელა მოხდება ჩანაცვლება. პროკურატურა საჭიროებს განსაკუთრებულ პროფესიონალებს, თუმცა, არ ვფიქრობ, რომ ყველა ის თანამშრომელი უნდა შეიცვალოს, ვინც წინა ხელისუფლების დროს მუშაობდა. მესმის, რომ საზოგადოება ბევრი საქმის გამოძიების შედეგებით უკმაყოფილოა. დღემდე პროკურატურას და სასამართლოს შორის პრობლემებია. ვფიქრობ, სასამართლოსთან დაკავშირებით უახლოეს პერიოდში მოხდება ცვლილება და გახდება მაქსიმალურად თავისუფალი და დამოუკიდებელი ორგანო. პროკურატურაშიც ასევე უახლოეს თვეებში განხორციელდება ცვლილებები — ყველა ის თანამშრომელი, ვისთანაც არის შეკითხვები, მგონია, რომ გადაადგილდება და გათავისუფლდება. ეს პროცესი პოლიციის შემთხვევაში უფრო მარტივია — იქ უკვე განხორციელდა საკადრო ცვლილებები და უკვე მეორე ეტაპიც მიმდინარეობს. მთავარია, რომ კბილაშვილი და ღარიბაშვილი ძალიან კარგი კადრებია. უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ მათ გამოცდილება არ ჰქონდათ, მაგრამ დამოკიდებულება არის გულწრფელი. რაც შეგვეძლო, გავაკეთეთ, ალბათ, შეიძლებოდა უფრო უკეთ, მაგრამ მიმართულება გულწრფელია“, — აღნიშნა პრემიერმა და იქვე დასძინა, რომ „კითხვები პოლიციასთან მიმართებაშიც ბევრია“.

ბიძინა ივანიშვილის შეფასებით, ახალი ხელისუფლების მიერ სამართლიანობის აღდგენის ძირითადი ნაწილი განხორციელდა.

„რამეთუ თქვენ დღეს არ გაქვთ მაგალითები, რომ საზოგადოებაზე ხორციელდება ძალადობა, რაც წინა რეჟიმის ცხოვრების წესი იყო, ეს პროცესი დასრულებულია, რაც შეეხება სამართლიანობის აღდგენის მეორე ნაწილს, რომ უნდა დაისაჯონ ძალადობის სისტემის არქიტექტორები, ეს კონკრეტულად პროკურატურამ და სასამართლომ უნდა განახორციელოს. ეს პროცესი მიმდინარეობს. მე დიდი იმედი მაქვს, რომ უახლოეს მომავალში მოვახერხებთ და სასამართლო იქნება დამოუკიდებელი“, — განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

* * *

**საქართველოს პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი მიიჩნევს, რომ აგვისტოს ომის მოვლენების დროს საქართველოს ხელისუფლება პრეზიდენტის მეთაურობით არაადეკვატურად მოიქცა. მისი თქმით, აგვისტოს ომის თემა დღემდე ბურუსით არის მოცული და აგვისტოს ომის გამოძიება არ დააზიანებს არც საქართველოს, არც წინა ხელისუფლებისა და არც პრეზიდენტის იმიჯს.**

„მე არ მომისმენია თეა წულუკიანის განცხადება. მან რამდენიმე დღის წინ გააკეთა განცხადება და არ მიმიქცევია ყურადღება. ომის თემა ბურუსით არის მოცული დღემდე. ობიექტური ფაქტებით, სიმართლით უნდა ვიცხოვროთ. რეალობაზე უნდა იყოს დაფუძნებული ჩვენი ყოველდღიური ცხოვრება. მე პირადად ბევრი შეკითხვა მაქვს. მეც ვთვლი, რომ ჩვენი ხელისუფლება, პრეზიდენტის მეთაურობით არაადეკვატურად მოიქცა იმ სიტუაციაში. გაუმართლებლად მიმაჩნია, რომ საჯარისო ნაწილებმა დაიწყეს საომარი მოქმედებები მანამ, სანამ რუსეთმა გადმოლახა საზღვარი. გაურკვეველი ბანდფორმირებები ისროდნენ და ჩვენი პრეზიდენტისა და ხელისუფლების მხრიდან აბსოლუტურად ადეკვატური იქნებოდა საერთაშორისო დამკვირვებლების მოწვევა და მონიტორინგი. ეს პროცესი შესაძლებელი იყო ამ დონეზე დასრულებულიყო. მე ვუყურებდი ყველა სატელევიზიო გამოშვებას და არაფერი სასწაული არ მომხდარა. ერთ-ერთი ნაღმი შევარდა ერთ-ერთ სახლში და რაღაც კედელი დააზიანა, არც ერთი ადამიანი არ გარდაცვლილა. საკმარისი იქნებოდა სოფლიდან მაქსიმუმ 100 მაცხოვრებლის გაყვანა და საჯარისო შენაერთების ჩაყენება. ერთადერთი სწორი ნაბიჯი, ალბათ, საერთაშორისო თანამეგობრების მოწვევა იყო. ჩემთვის გაურკვეველია, რატომ გაკეთდა ასეთი რამ, რაც ჩემში კითხვებს იწვევს. აგვისტოს ომის გამოძიება არ დააზიანებს არც საქართველოს, არც წინა ხელისუფლების და არც პრეზიდენტის იმიჯს. ტალიავინის ჯგუფის ჩანაწერებიდან ევროპას სულ სხვა წარმოდგენა აქვს, ხოლო წინა ხელისუფლება საქართველოში სულ სხვა ინფორმაციას ავრცელებს“, — განაცხადა პრემიერმა.

რაც შეეხება აღნიშნულ თემაზე პრეზიდენტის დაკითხვას, როგორც ბიძინა ივანიშვილი აცხადებს, სასამართლოს წესით პრეზიდენტის დაკითხვა კულტურული ფორმაა.

„მე ისეთივე განწყობა გამაჩნია, როგორც გუშინ განვაცხადე, რომ საზოგადოებამ მაქსიმალური კულტურა უნდა გამოიჩინოს. უკულტურობაში არ შედის სასამართლოს წესით პრეზიდენტის გასამართლება და მისთვის კითხვების დასმა. ძალიან ბევრ ევროპულ ქვეყანაში მოქმედი და ყოფილი პრეზიდენტი დაუკითხავთ. ჩვენ არ უნდა გვქონდეს განცდა, რომ წავლეკოთ, მივანგრიოთ და რაღაც ახალი ამბოხი გამოვიწვიოთ. სასამართლოს წესით პრეზიდენტის დაკითხვა კულტურული ფორმაა და თუ ეს საჭირო გახდა, პრეზიდენტი ამას გაგებით უნდა მოეკიდოს. ეს არის ევროპული და მსოფლიო ცივილიზაციის ნორმალური მეთოდი“, — აღნიშნა ივანიშვილმა.

**საზოგადოებამ მაქსიმალური კულტურა უნდა გამოიჩინოს. უკულტურობაში არ შედის სასამართლოს წესით პრეზიდენტის გასამართლება და მისთვის კითხვების დასმა. ძალიან ბევრ ევროპულ ქვეყანაში მოქმედი და ყოფილი პრეზიდენტი დაუკითხავთ. ჩვენ არ უნდა გვქონდეს განცდა, რომ წავლეკოთ, მივანგრიოთ და რაღაც ახალი ამბოხი გამოვიწვიოთ. სასამართლოს წესით პრეზიდენტის დაკითხვა კულტურული ფორმაა და თუ ეს საჭირო გახდა, პრეზიდენტი ამას გაგებით უნდა მოეკიდოს. ეს არის ევროპული და მსოფლიო ცივილიზაციის ნორმალური მეთოდი.**

* * *

**საქართველოს პრემიერ-მინისტრი საზოგადოებას სთხოვს, თამბაქოსა და ალკოჰოლის მოხმარებაზე კონტროლის გამკაცრებას გაგებით მოეკიდოს. მისი თქმით, გაიზრდება ისეთი ადგილების ოდენობა, სადაც თამბაქოს მოხმარება აიკრძალება.**

„კაფეებსა და რესტორნებში გახშირდა მოზარდების მიერ ალკოჰოლის გამოყენების მაგალითები. საზოგადოებას ვთხოვ, ამას გაგებით მოეკიდოს. ღვინის ქვეყანა ვართ, ვიცით ღვინის გამოყენება, თუმცა, მოზარდებში ალკოჰოლის გამოყენებაზე კონტროლის გამკაცრება აუცილებელია. რაც შეეხება მწეველებს, მათ დავეხმარებით, რომ მოწევაზე უარი თქვან. გაიზრდება ისეთი ადგილების ოდენობა, სადაც სიგარეტის მოწევა აიკრძალება. წუთში 10 ადამიანი იღუპება სიგარეტის გამოყენებით. სიკვდილის 10 შემთხვევიდან 7-ში მონაწილეობს სიგარეტი“, — განაცხადა პრემირემა.

მისივე თქმით, საქართველო თითქმის პირველ ადგილზეა იმ ქვეყნებს შორის, რომლის მოსახლეობაც მაღალი არტერიული წნევის შედეგად იღუპება.

როგორც ბიძინა ივანიშვილმა აღნიშნა, პოლიტიკური სტაბილურობის მიღწევის შემდეგ მთავრობამ ერის განვითარებაზე უნდა იზრუნოს.

„ბოლო წლებში მოსახლეობა იკლებს. ამის ერთ-ერთი მიზეზია მიგრაცია, სიკვდილიანობის ზრდა და შობადობის შემცირება. ჩვენ საშუალება გვაქვს, რომ მოვახერხოთ და ჯანმრთელი ერი შევინარჩუნოთ, გავზარდოთ მოსახლეობა და 21-ე საუკუნეში ჯანმრთელი და განათლებული საზოგადოება შევქმნათ“, — განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

* * *

**პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი პრეზიდენტის თურქეთში ველოსიპედიდან გადმოვარდნის და დაშავების საკითხს ეხმიანება. მისი განცხადებით, თუ ეს ინციდენტი გამოსაძიებელია, ამაზე მოთხოვნა თავად პრეზიდენტისგან უნდა მოდიოდეს.**



„დაცვის მხრივ მგონი, არაა პრობლემა. მე და პრეზიდენტსაც ერთი ორგანიზაცია გვიცავს. იცით თქვენ, რომ შეიცვალა იქ ხელმძღვანელობა და ამ კუთხით მგონი, კითხვები აღარ არსებობს. პრეზიდენტი აღარ ითხოვს 1800 კაცის გამოყოფას, ელექტრომანქანითაც სიარულს მგონი, თავი დაანება. სამწუხაროა, რომ დაშავდა ქვეყნის პრეზიდენტი და ასეთი რამ მოხდა. თუ გამოსაძიებელია, თავად უნდა მოითხოვოს. ჩვენგან არ უნდა მოდიოდეს ამის მოთხოვნა, რადგან მერე სხვა იარლიყს აკიდებენ ამას“, — განაცხადა ივანიშვილმა.

პრემიერის თქმით, მან აღნიშნულ ინციდენტზე იმაზე მეტი არ იცის, ვიდრე მედიაში გავრცელებული ინფორმაცია.

„სამწუხაროა, რომ პრეზიდენტი საერთოდ არ კონტაქტობს საგარეო საქმეთა სამინისტროსთან თავის ვიზიტებთან დაკავშირებით. ცუდია, რომ საგარეო საქმეთა სამინისტროს დონეზე ეს კოჰაბიტაცია არ არსებობს. ჩვენ არ ვიცით, ბოლო 6 თვის განმავლობაში სად მიდის, როგორ მიდის, რატომ მიდის“, — აღნიშნა ბიძინა ივანიშვილმა.

* * *

**„რაც შეეხება საზოგადოების ყველაზე დიდ სირცხვილს — მოსმენებს და შემდგომ სერიალებს, რაც ცხოვრების წესად იყო, ჩვენი ინიციატივაა, რომ ეს ქმედება გახდეს დასჯადი.**

უნდა დავაჩქაროთ საკითხი, რომ ეს სირცხვილი როგორმე დავწვათ თუ მოვიშოროთ და მომავალში არასდროს, სასამართლოს გარეშე მსგავსი რამ აღარ მოხდეს.

მე შიგნით იმაზეც კი მქონდა ომი, რომ იქნებ საერთოდ უარი ვთქვათ მასზე, თუმცა, დამარწმუნეს, რომ ეს ქვეყნის უშიშროებასთანაა დაკავშირებული და ყველა ქვეყანა იყენებს სასამართლოს ნებართვით, თუ ეს აუცილებელია. პირადად, ჩემთვის, ამაზრზენია ყველანაირი ტიპის მოსმენა“, — განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

* * *

**ჩვენ როგორც არ უნდა ვმალოთ, კარგად ვიცით, რომ ეკლესიაში არსებობს პრობლემები.**

„ჩვენ როგორც არ უნდა ვმალოთ და როგორც არ ვეფერებოდეთ ჩვენს ეკლესიას, კარგად ვიცით, რომ იქაც არსებობს პრობლემები და ზოგიერთ შემთხვევაში, საზოგადოების წარმომადგენელი ამაზე აკეთებს რეაქციას. ეს ნორმალურია და ტაბუდადებული თემები არ უნდა არსებობდეს“, — აღნიშნა ივანიშვილმა.

მისივე თქმით, მისი დამოკიდებულება ეკლესიასთან მიმართებაში არის ის, რომ ეკლესია უნდა იყოს დამოუკიდებელი.

„ჩემი დამოკიდებულება ეკლესიასთან დაკავშირებით არის ისეთი, როგორიც სახელმწიფოსი, რომ ეკლესია უნდა იყოს დამოუკიდებელი. მე არ ვმალავ, რომ ქრისტიანობას აქვს ძალიან დიდი როლი, რომ დღეს ჩვენ ვარსებობთ. სახელმწიფოს დამოკიდებულება უნდა იყოს ისეთი, რომ ეკლესია უნდა იყოს გამიჯნული და დამოუკიდებელი სახელმწიფოსგან. ის აუცილებელი თანხა, რაც საჭიროა სახელმწიფოს მხრიდან ეკლესიის დასახმარებლად, უნდა იყოს გადარიცხული ერთხელ და არავითარ შემთხვევაში სახელმწიფომ არ უნდა ეცადოს რაიმე სახით მოახდინოს კონტროლი ეკლესიაზე“, — აღნიშნა პრემიერმა.

* * *

**პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი იუსტიციის სახლებს ზედმეტად „გადაპრანჭულს“ უწოდებს და აცხადებს, რომ ახალი მთავრობა უფრო პრაქტიკულ და იაფად შესანახ შენობებს ააგებს.**

„მე მგონია, რომ თბილისს ძალიან არ გაუმართლა, რადგან იუსტიციის სახლებთან მიმართებაში პრეზიდენტის დამოკიდებულება იყო, რომ შენობა ყოფილიყო უცნაური და უცხო, როგორც პოლიციის ცენტრალური შენობაა, რისი წინააღმდეგიც ვიყავი — ამ ტიპის არქიტექტურას ევროპა უკვე თავს ანებებს, რადგან ძალიან ძვირი ჯდება შესანახად. ავიღოთ თბილისის იუსტიციის სახლი — ის არქიტექტურა რომ სანაპიროზე დასადგმელი არ იყო, ალბათ, ეჭვი არ გეპარებათ, მაგრამ „ზარბაზნებს“ რომ ჰგავს, იმის გადატანა, ალბათ, არსად არ შეიძლება. შიგნით ამხელა ჭერი, მისი გათბობა ფუფუნებაა. არ შეიძლება იუსტიციის სახლის გაპრანჭვა და გადაპრანჭვა, ფართის 80% უნდა იყოს გამოყენებული“, — განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

მისივე განმარტებით, იუსტიციის სახლების მშენებლობის საკითხზე გუშინ პირველი თათბირი გაიმართა, რომელსაც მის მიერ მოწვეული არქიტექტორებიც ესწრებოდნენ. პრემიერის თქმით, განიხილება, რომ იუსტიციის სახლის ძვირადშესანახი შენობების ნაცვლად, რომლის კვადრატული მეტრის აგება 3 ათას ლარამდე ჯდებოდა, უფრო სადა და პრაქტიკული სახლების მშენებლობა მოხდეს.

„იუსტიციის სახლების მშენებლობაზე პირველი თათბირი გუშინ ჩავატარეთ. დამოკიდებულება მარტივია — პროექტის არსებული სახით მშენებლობა ძვირი ჯდება, 3 ათას ლარამდე კვადრატული მეტრი. ჩვენ არ გვაქვს ამის ფუფუნება. იუსტიციის სახლი არაა საზოგადოების მთავარი მოთხოვნა, თუმცა, ესეც საჭიროა. რეგიონმა უნდა შეძლოს შენობის შენახვა, ის კი, რაც ხდებოდა იუსტიციის სახლებთან დაკავშირებით, იყო ახირება. რაც მთავარია, ეს ჯდებოდა ძვირი და წარმოადგენდა მდიდარი კაცის ფუფუნებას. მინგრეულ სოფლებში ერთ კაცს რომ მოსწონს ისეთი არქიტექტურის აშენება, ესაა პროვინციალიზმი. ეს არაა ლამაზი და არ მოსწონს ხალხს. ჩვენ ვაჩერებთ ამ პროცესს და ვფიქრობთ, რომ ახალი იუსტიციის სახლების კვადრატული მეტრის მშენებლობა უნდა დაჯდეს მხოლოდ 700-800 დოლარი და მათში უნდა იყოს გამართული ვენტილაცია. არსებულ იუსტიციის სახლებში გული ულონდებათ იცით? ეს გადაპრანჭული შენობები საჭირო ნამდვილად არაა“, — აღნიშნა პრემიერმა.

* * *

**პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა ოპოზიციის მიერ 19 აპრილისთვის დაანონსებულ აქციაზე კომენტარი გააკეთა.**

„კითხვა მინდა, დაგისვათ ჟურნალისტებს, რა უნდათ 19 აპრილს, იცით?“, — მიმართა ბიძინა ივანიშვილმა მედიის წარმომადგენლებს.

პრემიერ-მინისტრი ფლობს ინფორმაციას იმის შესახებ, რომ ოპოზიციის ლიდერები 19 აპრილის აქციისთვის რეგიონებში ფულს არიგებენ.

**„საზოგადოების რაღაც ნაწილს მერაბიშვილის ვალი აქვს, მეორე ნაწილს ახლა ურიგებენ ფულს რეგიონებში და ხელს არ ვუშლით. სამართალდამცავებს დავავალეთ, არც მოსმენები და არაფერი იკადრონ. მერაბიშვილისთვის მამას და ბაბუას არაფერი დაუტოვებიათ, ამჯერადაც ჩვენს — ხალხის ფულს იყენებს“,** — განაცხადა ივანიშვილმა.

აქციის ოფიციალურ თემატიკასთან - ევროპული არჩევანის მხარდაჭერასთან დაკავშირებით, პრემიერი აცხადებს, რომ აქციის მომწყობებმა უფრო კონკრეტული ვერაფერი მოიფიქრეს.

**„უფრო კონკრეტულს ვერაფერს ამბობენ, სათქმელი არ აქვთ“,** — განაცხადა ივანიშვილმა.

ივანიშვილი აცხადებს, რომ დემონსტრაციები მაშინ ეწყობა, როდესაც ესა თუ ის ადამიანი ან ადამიანთა ჯგუფი ხმას ვერ აწვდენს მთავრობას.

**„პრეზიდენტს დღესაც უფლება აქვს, დაითხოვოს მთავრობა და მიაყოლოს პარლამენტი“,** — აცხადებს ივანიშვილი. მისთვის გაუგებარია, რაში სჭირდება ოპოზიციას აქციის მოწყობა.

ივანიშვილმა ისაუბრა იმის შესახებაც, რომ „ნაციონალები“ ეძებენ გზებს, როგორ გამოძვრნენ და უარი თქვან 19 აპრილის აქციაზე, რადგან იციან, რა შედეგს მიიღებენ.



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

## ⊙ სათქმელი უნდა ითქვას



# შეუსრულებელი დაპირებები

**ახალი მთავრობის ქმედუნარიანობას 100 დღის მანძილზე გაწეული მუშაობით აფასებენ. „ქართული ოცნება“ უკვე 2-ჯერ 100 დღეა იღვწის და შეიძლება ვიკითხოთ, როგორი პირი უჩანს მისი დანაპირების შესრულებას. ბიძინა ივანიშვილმა სამი ძირითადი დაპირება მისცა ამომრჩეველს — რუსეთთან ურთიერთობის დალაგება, სამართლიანობის აღდგენა და წინა ხელისუფლებების მიერ დაყაჩაღებულ-გამათხოვრებული მოსახლეობისათვის ცხოვრების პირობების გაუმჯობესება. არც ერთ ამ დანაპირებს შესრულების მცდელობაც არ ეტყობა.**

1) „რუსეთთან ურთიერთობის დალაგება“, რაც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მოგვარებას ითვალისწინებდა, ღვინო-ბორჯომის საკითხის მოგვარებით შემოიფარგლა. სხვანაირად ვერც მოხდებოდა: ტერიტორიული პრობლემის გადაწყვეტას უმაღლეს დონეზე მოლაპარაკება სჭირდებოდა, **პრემიერ-მინისტრმა ივანიშვილმა კი დაბალ დონეზე დასწია მოლაპარაკების თამასა: ნაცვლად იმისა, რომ პრეზიდენტ პუტინს შეხვედროდა და უშუალოდ მასთან ერთად განეხილა საქართველოსათვის ეს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი საკითხი, „სპეციალური წარმომადგენელი“ დანიშნა, ღვინო-ბორჯომის საკითხზე სასაუბროდ!** რუსეთის წარმომადგენელი „დაუკრეფავში გადმოსულა“: ტერიტორიული მთლიანობის საკითხზე საუბარი შეუთავაზებია აშშ-ის „სტრატეგიულ“ ვასალობაზე უარისთქმის წინაპირობით, რაც ქართველ კოლეგას „საქართველოს სუვერენიტეტზე და არჩევანის თავისუფლებაზე“ უარის თქმად მოსჩვენებია და ტერიტორიული მთლიანობის საკითხის განხილვისაგან თავი შორს დაუჭერია: **„რუსეთი თითქოს რაღაც წინაპირობებს აყენებდა, მაგრამ... ჩვენ შევთანხმდით, რომ წითელ ხაზებს არ შევეხებოდით“.** სერიოზული მოლაპარაკების სურვილი ვლადიმერ პუტინმაც გამოთქვა: **„მე არ ვიცი, სად არის გამოსავალი, მაგრამ დასხდნენ ექსპერტები და მოიფიქრონ, მოძებნონ ეს გამოსავალი“.** მაგრამ ქართული მხარე, ჩანს, კმაყოფილია „მიღწეულით“ (ღვინო-ბორჯომის რუსებისათვის მიყიდვით). ამ კმაყოფილების გამოხატულება გახლდათ სახელმწიფო ანსამბლ „ერისიონის“ ცეკვა-თამაში კრემლში! ვერც ანსამბლის ხელმძღვანელი ჯემალ ჭკუასელი, ვერც ქართველი საზოგადოება და ვერც პუტინი ვერ მიმხვდარან, რა იყო აქ საცეკვაო და საზეიმო?! თუმცა, არის აქ რეზონი: ქართული ღვინით შეზარხოშებული რუსები შესაძლოა, ისე დათანხმდნენ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაზე, რომ მისი აშშ-ის ვასალობის წინაპირობა აღარ გაახსენდეთ! ღვინო გასაგებია, მაგრამ ბორჯომი რა საჭირო იყო?!

**2) საზოგადოების იმედგაცრუებასა და გაღიზიანებას იწვევს დაპირებული სამართლიანობის აღდგენის გაჭიანურებაც. მისასალმებელია პარლამენტის მიერ პოლიტიკური პატიმრებისა და უდანაშაულო პატიმრების ამნისტირება, მაგრამ ფიზიკური წამებისაგან განთავისუფლებული ეს ადამიანები ფსიქოლოგიურ წამებას განიცდიან, როდესაც ხედავენ, რომ მათი უდანაშაულოდ დამსჯელები თავისუფლად დასეირნობენ და თანამდებობებსაც ინარჩუნებენ.** პროკურატურაში ათასობით საჩივარი განუხილველია, განხილული კი სასამართლოში იბლოკება. მილიონობით გაფლანგვის ფაქტზე დაჭერილი თბილისის მერის სასამართლოს დარბაზიდან განთავისუფლებამ, საზოგადოების გულისწყრომასთან ერთად, პარლამენტიც მოთმინებიდან გამოიყვანა და უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის იმპიჩმენტის საკითხი დააყენა, მაგრამ საქმეში ჩაერია ბიძინა ივანიშვილი და პარლამენტს უკან წაალებინა თავისი გადაწყვეტილება. ბატონი ბიძინა ხშირად უცერემონიოდ ერევა მთავარი პროკურორისა და პარლამენტის ფუნქციებში, რათა სამართლიანობის აღსადგენად მიმართული მათი მცდელობა დაბლოკოს. პრემიერ-მინისტრმა დაუფარავად განაცხადა, რომ პარლამენტის სხდომის წინ ტელეფონით დაურეკა მის თავმჯდომარეს, რომ ოპოზიციის ახირებულ მოთხოვნა სარეიტინგო კენჭისყრაზე დაეკმაყოფილებინა. ასეთი ქმედება რომ არადემოკრატიული და მიუღებელია, ეს ბატონმა ბიძინამაც იცის. ამიტომაც მოიბოდიშა: „პოლიტიკურად, ალბათ, უფრო კარგი იქნებოდა, რომ არ დამერეკაო“. მაგრამ ბოდიში, მოგეხსენებათ, წამალი არ არის.

**3) გაუმჯობესება არ ეტყობა მოსახლეობის ცხოვრების პირობებსაც. იმ დროს, როდესაც საქართველოს მთლიანმა საგარეო ვალმა 13.4 მლრდ. დოლარი (22.1 მლრდ ლარი) შეადგინა, გაუმართლებელია ქვეყნის ბიუჯეტის ძველებურად არადანიშნულებისამებრ ფლანგვა. მოსახლეობას მძიმე ტვირთად აწევს ხელისუფალთა ასტრონომიული „ხელფასები“ (ასეთ ყაჩაღურ თანხებს ხელფასებიც არ შეიძლება ეწოდოს) და „პრემიები“, ყველა საჭირო და არასაჭირო ქვეყანაში ელჩებისა და მათი მომსახურე პერსონალის შენახვა, საგარეო თუ საშინაო საქმეთა უსაქმურთა და ვიღაცასთან რაღაც „ინტეგრაციის“ მაძიებელთა შორეულ საზღვარგარეთში, ქალაქში მიმავალი გიჟივით, არაფრის მომტანი (წაღებით კი დიდი ხარჯების წამღები) ვოიაჟები, ბიზნესკლასებით ფრენები, ძვირზე-ძვირ, ხუთვარსკვლავიან სასტუმროებში კოტრიალი და ა.შ.** ბატონმა ბიძინამ „ყურად იღო“ საზოგადოების სამართლიანი უკმაყოფილება, მინისტრ-პარლამენტარების ასტრონომიულ „ხელფასებზე“ ასტრონომიულივე „პრემიების“ დამატების გამო: „პრემიები“ გააუქმა და ხელფასებს დაამატა!

პრემიერ-მინისტრის ასეთი ქმედებით გაკვირვებული ჟურნალისტი ბერდია ბედოიძე გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ (30.03.2013) წერდა: **„გასაკვირზე გასაკვირია, რომ ისეთ სოციალურ ფონზე, როგორიც ახლა ამ ბედკრულ ქვეყანაში „განფენილა“, როცა მიზერული ფინანსური დახმარებაც ასობით და ათასობით ოჯახს შეუწყდა („ვიდიტე ლი“, რაღაც წაყენებულ სასაცილო მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებენ და იმიტომ), როცა ამდენ დაწესებულებაში რამდენიმე თვის ხელფასი ვერ თუ არ მიუღიათ, როცა პენსიები და, მაგალითად, პროფესორების, მეცნიერებათა დოქტორების თვიური ანაზღაურებანი სატირლად მცირეა, როცა კიდევ ბევრი რამ ხდება სავალალო — მინისტრებს ხელფასები ორმაგზე მეტი გაუხდათ! პირადად ჩემთვის, რომელიც ჭკვიანი პრემიერისგან მოელოდა დიდკაცთა და დიდქალთა მაღალი ჯამაგირების შეკვეცასა და დაუმსახურებელი პრემიების გაუქმებას, მისი ეს გადაწყვეტილება სრული მოულოდნელობა და კიდევ ერთი იმედგაცრუება აღმოჩნდა. ისევ პირადად ჩემთვის, გაუგებარი დარჩა, თუ რაში დასჭირდა მთავრობის მეთაურს მინისტრების ამგვარი მოთაფვლა-მოქონვა...“**

ბატონ ბიძინას რაში სჭირდება მინისტრების ამგვარი მოთაფვლა-მოქონვა, ვერ გეტყვით; მაგრამ რაში სჭირდებოდა სააკაშვილს ეს ეშმაკობა, ნათლად აგვიხსნა თავის დროზე პუბლიცისტმა იაკობ ლეჟავამ თავის ბრწყინვალე სტატიაში „რას ეყრდნობა სააკაშვილი?“: **„სააკაშვილს არაფერი ახალი არ გამოუგონებია, იგი იყენებს ძველთაგანვე კარგად აპრობირებულ, უტყუარ საშუალებას, რომელსაც „ოქროთი დატვირთული ვირის ფენომენი“, ანუ „ჯოჯოხეთის მანათობელი ძალა“ ჰქვია. ესაა ფული!!! ფული არის მთავარი და გადამწყვეტი ძალა ყველა იმ უკანონობისა, რაც საქართველოში ხდება, ფული და ამ ფულით მოპოვებული (შემდეგ კი კანონმდებლობით გამყარებული) ძალაუფლება არის ის, რაც ასე რყვნის ნებიერს და მით უფრო, გარყვნილებისკენ, ძალადობისკენ მიდრეკილ ადამიანს“ („საქართველოს რესპუბლიკა“ 07.05.2009).**

ამიტომ იყო, რომ „დიქტატორ“ სტალინს, პოლიტბიუროს წევრები რომ არ გაერყვნა, აკრძალული ჰქონდა, რომ მათ მუშაზე მაღალი ხელფასები აეღოთ.

ბატონ ბიძინას სტალინობას ვერ მოვთხოვთ, მაგრამ ნუ გვიწყენს, თუ სააკაშვილზე მეტ ზომიერებას მოვთხოვთ! რა მაგის პასუხია, ერთხელ, ბატონმა ბიძინამ გაიხსენა: პირველ ორ წელს სააკაშვილსა და მის მინისტრებს, ქრთამები რომ არ აეღოთ, ხელფასებს სოროსი კი არა, მე ვუხდიდიო. ჰოდა, ახლაც, თუ თავისი მინისტრ-პარლამენტარებისათვის ასტრონომიული „ხელფასები“ არ ენანება, ხომ არ აჯობებდა, თავისი ჯიბიდან გადაუხადოს და არა ხალხის (უკაცრავად ამ სიტყვისათვის!) საცოდავი ბიუჯეტიდან?!

**ომარ ხახაშვილი,**
ბელგიის მოქალაქე
05.04.2013

## ⊙ ფეისბუქიდან

# წერტილოვანი ფრაზები

● რა წყევლა ცოდნია მურმან დუმბაძეს?! ენდე! მოტყდა თუ არა ხელი ხუთიანის შემოხაზისთვის!

● ვალიკო, ტრაილერი მაერევა თუ ველისაპედი?

● „ალი და ნინოს“ ძეგლი დადგა და ქალებთან შარში გაეხვია, ველოსიპედის ძეგლი დადგა და შარში გაეხვია, ე, ბიჭო, შლოპანცები და კვერცხები დოუმალეთ ვინმემ.




● გინდა დაინიშნო რაიმე თანამდებობაზე და არცერთი დეპუტატის ნათესავი არ ხარ? მოდი 19 აპრილის აქციაზე!!!

● პრეზიდენტის ავარიასთან დაკავშირებით ყველაფერი არც ისე ნათელია, ამიტომ აუცილებლად უნდა აღიძრას სისხლის სამართლის საქმე და დაიწყოს გამოძიება! ანტალიაში, ზღვის სანაპიროს სიახლოვეს, ფეშენებელურ უბნებში, ტრასები არ გადის და არც ტრაილერები დაშხუილებენ. ან დაცვის სამსახური სად იყო?! ამაზე პასუხი არავინ უნდა აგოს?! იქნებ სხვა რამ მოხდა და არა ავარია? როგორი დასაჯერებელია, რომ პრეზიდენტი ველოსიპედით ტრაილერს შეასკდა?! არსებობს ამის მტკიცებულობები?! საქართველოს მოქალაქეებს უფლება აქვთ, იცოდნენ ამ ინციდენტის ყველა ნიუანსი და ამისთვის აუცილებელია გამოძიება!

● ნაციონალები დღეს საერთოდ რომ არსებობთ, ის კი არა, ხმას რომ იღებთ და ოპოზიციონერობთ, საერთოდ პარტია რომ არსებობთ, საერთოდ პოლიტიკოსებად რომ არსებობთ, ქუჩაში რომ გამოდიხართ, მედიას რომ ხვდებით, ყველაფერი ეს არის ბიძინას კეთილი ნება და არ დაივიწყოთ ეს. ბევრი ჯალათებისგან გაწამებული უკმაყოფილოა ივანიშვილის ამ კეთილი ნებით, სამართლიანად ითხოვს ჯალათების დასჯას. მაგრამ ეს სამართალი სამართლებრივად უნდა აღდგეს და არა ისე, როგორც ბოლო ათწლეულებში ხდებოდა. და კიდევ ერთი, ნუ გექნებათ იმის ილუზია, რომ ან კოჰაბიტაცია, ან დასავლეთი გიხსნით პასუხისმგებლობისგან და მადლობა თქვით, რომ ახალმა ხელისუფლებამ საკუთარი რისკის ფასად აირჩია კანონიერი და არა ემოციური გზა, ის გზა, რომლითაც თქვენ დადიოდით.

● „ოცნებას“ დიდი პრობლემები აქვს შიგნით, კორძაია შტაბს ვერ კრიბავს, საგანელიძე უსუფაშვილს ეჩხუბა, მანანა კობახიძე გვიყვირის, რა ხდება?

● ასეთი განცხადება მართლა შეადგინეს ბიძინას პრესსამსახურში? აი, ცენტრალური ტელევიზიები რას ნიშნავს, ხალხო? ხანდახან მაინც დაუკვირდით, რა ტექსტებს ავრცელებთ... ვახ...

● ქართველ „მომღერალს“ თუ ფული გადაუხადეს და ისრაელში ქორწილში ამღერეს, ის ამას გასტროლს ეძახის, ხოლო, თუ შემთხვევით გვერდით მეორე ქორწილიცაა და იქაც მიიპატიჟეს, ეს უკვე ტურნეა.

● ისე, ვინმემ აუცილებლად უნდა გადაიღოს 19-ში მისული ადამიანის სურათები, რომ ვიცოდეთ, რამდენი ავადმყოფი გვყავს ამ ქვეყანაში და რა თანხა დაჯდება მათი უფასო მკურნალობა.

● მიშმადიდებლები თუ ბიძმადიდებლებმა შეცვალეს, ამით რა იცვლება ქვეყანაში? რო გიყურებთ, თუ როგორ ისვამთ თავებზე ვაზელინს, გული მერევა... ჩვეულებრივი მოსახლეობის ნაწილზე მაქვს საუბარი. მათი პოსტები გულს აურევს ჯანსაღად მოაზროვნე პიროვნებას.

● ოეეეეეე! მაგ პოსტებს მაინც ვერ ხედავს ბიძინა და ტყუილად მცირდებით.

● კაცმა ლამის კისერი და კინჩხი მოიტეხა და მთელი ქვეყანა ღადაობს... მარტო ამიტომ გადავდგებოდი მის ადგილას!

**გია გაბრიჭიძე**

## ⊙ ინფორმაცია

### უნდა დაიწყოს აგვისტოს ომის საბრძოლო მოქმედებების შეფასება

**უახლოეს დღეებში ვიწყებთ აგვისტოს ომში წარმოებული საბრძოლო მოქმედებების შეფასებას, — ამის შესახებ საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ალასანიამ ტელეკომპანია „მეცხრე არხის“ გადაცემა „მთავარ კითხვაში“ სტუმრობისას განაცხადა.**

**მინისტრის განმარტებით, ეს არ იქნება პოლიტიკური შეფასება. მისი თქმით, მოხდება კვლევა, თუ როგორ იმუშავა რეზერვმა, რატომ ვერ მოხერხდა სოფლების ევაკუაცია.**

**ირაკლი ალასანიას განცხადებით, დიდ კითხვის ნიშანს ბადებს ასევე ის, თუ როგორ მოხმარდა რვა მილიარდი ქართულ არმიას და რამ განაპირობა სამხედრო წარუმატებლობა.**

**ამასთან, საქართველოს თავდაცვის მინისტრის თქმით, კითხვის ნიშნის ქვეშ არ დგება საკითხი, რომ ომი რუსეთმა დაიწყო.**

ინტერპრესი



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

**„1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიამ და თავგანწირვამ საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას გადამწყვეტი ბიძგი მისცა“. ეს შეფასება არაერთხელ გვსმენია მასმედიაში. ამ შეფასებას სისტემატიურად იმეორებენ როგორც პოლიტიკოსები, ისე ინტელიგენციის წარმომადგენლები, მთლიანად ქართული საზოგადოება. 1989 წ. 9 აპრილის შემდეგ 24-მა ცხრა აპრილმა ჩაიარა — პარლამენტის შენობის წინ მისვლით და დაღუპულთათვის პატივის მიგებით 24 წელია ვიხსენებთ იმ მართლაცდა ტრაგიკულ დღეს, მაგრამ წამითაც არ გვსურს ჩვენთვის მაინც ვთქვათ, საჭირო იყო თუ არა მაშინდელი თავგანწირვა.**

9 აპრილი ისეთი თემაა, რომ მის შესახებ საზოგადოებაში არსებული მოსაზრების გარდა, სხვას, ხმამაღლა ვერ იტყვი — ცუდად გაიგებენ, არადა, ვიწრო წრეში გამოთქმული აზრიც საინტერესოა და მასაც აქვს არსებობის უფლება.

1989 წლის 9 აპრილი არ მოხდებოდა, რომ არ ყოფილიყო გორბაჩოვის მიერ დაწყებული ლიბერალიზაციის პროცესი — „გლასნოსტად“ და „პერესტროიკად“ მონათლული. სწორედ მოჭერილი ჭანჭიკების მოშვებამ მისცა საბჭოთა კავშირში არსებულ დისიდენტურ მოძრაობას შედარებით თავისუფალი მოქმედების სტიმული და საშუალება. გამოცოცხლდა იატაკქვეშ არსებული დისიდენტური ორგანიზაციები და მათი ბეჭდვითი ორგანოები, გახშირდა მიტინგები, დემონსტრაციები. ამ საერთო საკავშირო ფერხულში თავისი საპატიო, ანგარიშგასაწევი ადგილი საქართველოს სხვაგვარად მოაზროვნე ორგანიზაციებმაც დაიკავეს.

კრემლის ლიბერალური ნაბიჯების გამომწვევ მიზეზთა შორის მრავალი სახელდება, მათ შორის გეგმიური ეკონომიკის უსუსურობა, ეკონომიკური სტაგნაცია, თვით საბჭოთა კავშირის კპ ცკ-ის გენერალური მდივნის მიხეილ გორბაჩოვის სისუსტე და სხვა. მაგრამ მთავარ მიზეზთა შორის დასავლური პრესიცაა — ის, რაც საბჭოეთის შექმნის პირველსავე დღიდან, მძლავრი პროპაგანდისტულ-ეკონომიკური ბერკეტებით, პერმანენტულად ცდილობდა კლასობრივი იდეოლოგიის მატარებელი ქვეყნის დაშლა-განადგურებას.

გასული საუკუნის 80-იანი წლების ეკონომიკურმა ჩავარდნებმა, კომუნისტური სისტემის გადარჩენის მცდელობამ და ამ გადარჩენისთვის სამხედრო მშენებლობაში დახარჯულმა უზომო თანხებმა, თავისთავად აფიქრებინეს კრემლის მაშინდელ ბინადართ მოწინააღმდეგე დასავლეთთან საერთო ენის გამონახვა. საერთო ენის გამონახვას კი თავისთავად მოჰყვა დათმობების კასკადი და საბოლოო ჯამში საბჭოთა იმპერიის დაშლა.

1989 წ. 9 აპრილს ცენტრიდან წამოსული უხილავი თავისუფლების ელფერი დაჰკრავდა. რომ არა მსგავსი რამ, არც დისიდენტური მოძრაობა გაიფურჩქნებოდა და არც მიტინგები მოხდებოდა. საბჭოთა სისტემისთვის არცთუ უცხო წესს — რეპრესიებს, უმთავრესად სხვაგვარად მოაზროვნე ადამიანთა საწინააღმდეგოდ მიმართულს, ფართო გასაქანი ექნებოდა — შესაბამისი შედეგებით.

**აფხაზეთის საკითხთან დაკავშირებული ფართომასშტაბიანი მიტინგი — ვაკის პარკში გამართული, მთავრობის სახლის (შემდგომში პარლამენტის) მიმართულებით დაძრული და მთავრობის სახლის კიბეებზე სპონტანურად დაბანაკებული, არა მარტო ანტისახელისუფლებო, არამედ ანტისაკავშირო მიტინგად გადაიქცა.**

საბჭოთა იმპერიისთვის უცხო, მრავალდღიანმა მიტინგმა საბჭოთა საქართველოს მმართველობის მანქანის საგრძნობი შეფერხება გამოიწვია. თვით ამ მანქანაში გაჩნდა ბზარები, ეროვნული მოძრაობის ლიდერთა მიმართ სიმპათიით გამსჭვალული დამოკიდებულება, დევიზით — „რა იცი, რა ხდება“.

მთავრობის სახლის წინ გამართულმა მრავალდღიანმა მიტინგმა აშკარად გამოკვეთა სახელმწიფო მანქანის საწინააღმდეგო ძალა, თავისი ლიდერებით. მეხსიერებას შემორჩა შენობის წინამდებარე მოედანსა და პროსპექტის დიდ ნაწილზე ზღვა მომიტინგეები. მათ მიერ, სწრაფად, უაურზაუროდ გაკეთებული დერეფანი, მიტინგზე მისულ ეროვნული მოძრაობის ლიდერთათვის გზის დასათმობად.

მიტინგზე მისული საზოგადოების გულითადი დამოკიდებულება ზვიად გამსახურდიასა და მისი თანამებრძოლების მიმართ კარგად ჩანდა მთავრობის სახლის ფანჯრებიდან. ჩანდა ისიც, როგორ იძაბებოდა პოლიტიკური ვითარება. ხელისუფლების თხოვნით, ქვეყნის ინტელიგენციის წარმომადგენლები, როგორც ტელევიზიით, ისე მიტინგზე, მიმართავდნენ შეკრებილებს დაშლისაკენ, თუმცა, ეროვნული მოძრაობის ლიდერთა მხრიდან შესაბამისი პასუხი არ ჩანდა.

**უფრო მეტიც — საბედისწერო 9 აპრილის ღამეს, მომიტინგეებს მოედნის გათავისუფლებისკენ და იქვე მდებარე ქვაშვეთის ეკლესიაში ლოცვისკენ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, მისმა უწმინდესობამ ილია II-მაც მოუწოდა. სამწუხაროდ, სულიერი მამის მოწოდება მოწოდებად დარჩა.**

საბჭოთა ჯარის მიერ მოედნის ძალისმიერი გზით გაწმენდას მოჰყვა მსხვერპლი, მომიტინგეთა ქიმიური იარალით მოწამვლა, საგანგებო მდგომარეობის შემოღება და სხვა.

9 აპრილს დაღვრილმა სისხლმა დიდი რეზონანსი გამოიწვია. კიდევ ერთხელ შეახსენა საერთაშორისო საზოგადოებას საბჭოთა რეპრესიული მანქანის ნგრევის აუცილობლობაზე, საბჭოთა სისტემის დაშლაზე. 9 აპრილმა გააღრმავა ხალხში არსებული ანტისაბჭოური განწყობა, საბჭოთა კავშირიდან გამოსვლის სურვილი, დამოუკიდებლად არსებობის აუცილებლობა.

**9 აპრილმა ფაქტობრივად წერტილი დაუსვა ისედაც წყალშემდგარ საბჭოთა სისტემას. მართალია, საქართველოს კვლავ მართავდა კომპარტია და შეცვლილი კომუნისტური ხელისუფლება, მაგრამ რეალური ძალაუფლება ეროვნული მოძრაობის ხელში აღმოჩნდა.**

1989 წლის აპრილიდან, 1990 წლის შემოდგომამდე პერიოდს, თავისუფლად შეიძლება ეწოდოს ორხელისუფლებიანობა. 1990 წლის შემოდგომაზე გაიმართა მრავალპარტიული საყოველთაო არჩევნები, რაც პირველი მერცხალი იყო საბჭოთა კავშირის ისტორიაში. ხალხმა მხარი დაუჭირა პარტიათა კოალიციას „მრგვალი მაგიდის“ სახით და მის ლიდერს ზვიად გამსახურდიას, რომელიც უზენაესმა საბჭომ თავმჯდომარედაც აირჩია.

# 9 აპრილი



„პერესტროიკის“ ავტორებს სერიოზული პრობლემა შეექმნათ — საბჭოთა კავშირის დაშლის სახით. ვითარებიდან გამოსვლის მიზნით ერთადერთი რამ, რაც მათ მოიფიქრეს — რეფერენდუმის ჩატარება იყო, რომელიც გაიმართა 1991 წლის 17 მარტს. რეფერენდუმში ყველა რესპუბლიკა იღებდა მონაწილეობას, გარდა საქართველოსი, რომელმაც ბოიკოტი გამოუცხადა მას. რეფერენდუმს უნდა გაერკვია — უნდოდათ თუ არა საბჭოელებს ერთიანი კავშირი.

საქართველოს ახალი ხელისუფლება მარტო ბოიკოტს არ დასჯერდა. მან საპირისპირო რეფერენდუმი შესთავაზა საქართველოს მოსახლეობას იმავე წლის 31 მარტს. რეფერენდუმის დღეს საქართველოს სტუმრობდა აშშ-ს ყოფილი პრეზიდენტი რიჩარდ ნიქსონი, ცნობილი მეცნიერისა და პოლიტოლოგის დიმიტრი საიმსის თანხლებით.

ნიქსონის საქართველოში ჩამოსვლა განპირობებული იყო ზვიად გამსახურდიას სურვილით, რომელმაც სტუმრის ჩამოსაყვანად მოსკოვში მიავლინა მაშინდელი ტრანსპორტის მინისტრის მოადგილე მურმან ომანიძე. ნიქსონი სპეცთვითმფრინავით ჩამოვიდა თბილისში და დაესწრო რეფერენდუმის მსვლელობას ვაკის რაიონის ერთერთ უბანზე.

რეფერენდუმის ლოგიკური გაგრძელება იყო 1991 წლის 9 აპრილს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის მიღება, რომელიც საზეიმო ვითარებაში ჩატარდა უზენაესი საბჭოს სხდომათა დარბაზში.

1989 წლის 9 აპრილის ტრაგიკულ მოვლენებს მოჰყვა არჩევნების გზით ხელისუფლების ცვლა, საბჭოთა საქართველოს კონსტიტუციის დამოუკიდებელი საქართველოს კონსტიტუციად გადაკეთება, 1991 წლის 31 მარტის საყოველთაო რეფერენდუმის ჩატარება, 1991 წლის 9 აპრილის დამოუკიდებლობის აქტის მიღება.

ეს უმნიშვნელოვანესი მოვლენები ელვის სისწრაფით განვითარდა. ყველა მათგანს, ქვეყნის უახლეს ისტორიაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ . . .

**დავუშვათ არ მომხდარიყო 9 აპრილი, ექნებოდა თუ არა ეროვნულ ხელისუფლებას ხელისუფლებაში მოსვლის შანსი? გახდებოდა თუ არა ზვიად გამსახურდია ჯერ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე, შემდეგ უზენაესი საბჭოს მიერ არჩეული პრეზიდენტი და მაისში, საყოველთაო-სახალხო არჩევნებით არჩეული პრეზიდენტი?**

საზოგადოების გარკვეული ნაწილი მიიჩნევს, რომ არც ერთი ჩამოთვლილი მოვლენა არ მოხდებოდა, რომ არ ყოფილიყო 9 აპრილი. საქართველოს შემორჩებოდა კომუნისტური ხელისუფლება ჯუმბერ პატიაშვილის მეთაურობით, მაგრამ საბჭოთა კავშირი დაშლას ვერ ასცდებოდა.

**გაზვიადებულია მოსაზრება, რომ 9 აპრილის ტრაგიკულმა მოვლენებმა დაშალა საბჭოთა კავშირი. საბჭოთა კავშირი ზემოდან, კრემლიდან დაიშალა, უფრო სწორად დაეშალათ, გაუთვლელი პოლიტიკური ნაბიჯების გამო.**

**საბჭოთა კავშირის დაშლაში ფასდაუდებელი საქმე აკეთა თვით კომუნისტურმა პარტიამ, სახელმწიფო უშიშროების კომიტეტმა, სამართალდამცავმა ორგანოებმა, ყველა იმან, ვინც უყოყმანოდ ასრულა კრემლის მითითება. საბჭოეთის დაშლას მოჰყვა საბჭოთა დოვლათის ყოფილ პარტიულ ფუნქციონერებზე განაწილება. გუშინდელი კომკავშირულ-პარტიული ელიტა დღეს ბიზნეს-ელიტის სახითაა წარმოდგენილი.**

რომ არ ყოფილიყო 9 აპრილი, საქართველოში დარჩებოდა სახეშეცვლილი კომუნისტური ხელისუფლება, ისე, როგორც ეს მოხდა თითქმის ყველა საბჭოთა რესპუბლიკაში. ცხადია, გაიმართებოდა საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნები, მაგრამ მასში სხვაგვარად მოაზროვნეთა მიერ ჩამოყალიბებულ პარტიებს გამარჯვების შანსი ნაკლებად ექნებოდათ. ერთს, რასაც ისინი შეძლებდნენ — პარლამენტში უმცირესობით მოხვედრა იქნებოდა.

**რომ არ ყოფილიყო 9 აპრილი, ვერც გამსახურდია და ვერც შევარდნაძე, მით უმეტეს ვერც სააკაშვილი ქვეყნის სათავეში ვერ მოექცეოდნენ. საქართველო გადაურჩებოდა ეკონომიკურ, ფისკალურ, ფიზიკურ ნგრევას, რაც მოხდა საბჭოთა კავშირის ნგრევის შედეგად. მეტ-ნაკლებად შენარჩუნდებოდა ის ეკონომიკური კავშირები, რომლებიც 70 წლის განმავლობაში ჰქონდათ საბჭოთა რესპუბლიკებს. საბჭოეთის დაშლა ესოდენ მგრძნობიარე არ იქნებოდა საქართველოს მოსახლეობისთვის.**

საბჭოთა კავშირის ნგრევა არც დამოუკიდებლობის აქტის აღდგენას გამოუწვევია. ამ აქტს არ გამოუწვევია საქართველოს, როგორც დამოუკიდებელი ქვეყნის დიპლომატიური აღიარება, თუ არ ჩავთვლით თითო-ოროლა მაგალითს, რომლებიც მოხდა ბალტიისპირა რესპუბლიკების საბჭოთა კავშირის შემადგენლობიდან გასვლის დროს.

1991 წლის აგვისტოს მოსკოვის გადატრიალების უშედეგო მცდელობიდან დაწყებული, დეკემბრით დამთავრებული, არაერთი დრამატული მოვლენა მოხდა საბჭოეთის ცხოვრებაში. მარტო „ბელოვეჟის“ სამთა შეთანხმება (რუსეთის, უკრაინის, ბელორუსიის) რად ღირს, რომ არაფერი ვთქვათ დანარჩენებზე. ყოველივე ამან აიძულა სსრ კავშირის პირველი და უკანასკნელი პრეზიდენტი, გორბაჩოვი საბჭოთა კავშირის დაშლა გამოეცხადებინა.

**სწორედ საბჭოეთის დაშლას მოჰყვა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების, მათ შორის საქართველოს დიპლომატიური აღიარება და არა დამოუკიდებლობის აქტის მიღებას.**

არც ის არის ჭეშმარიტება, რომ ეს დოკუმენტი გახდა გაეროში შესვლის საფუძველი. არც ერთ ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკას მსგავსი დოკუმენტი არ ჰქონია, მაგრამ ყველა ისინი, საქართველოზე გაცილებით ადრე, შეიყვანეს გაეროში. საქართველო მხოლოდ 1992 წლის ივლისში გახდა გაეროს წევრი. დაგვიანების მთავარი მიზეზი ლეგიტიმური ხელისუფლების დამხობა და გაურკვეველი, არალეგიტიმური მმართველობა იყო.

9 აპრილის ჰეროიკულ პერიოდს მოჰყვა ხელისუფლების არა რიგითი, არამედ ფუნდამენტური ცვლა — სოციალიზმიდან კაპიტალიზმზე გადასვლის მცდელობა, ანუ პოლიტიკურ სისტემათა ცვლა. საქართველო დაადგა ყველასთვის უცნობ გზას.

გამოუცდელი ქვეყნისთვის, მით უმეტეს ქვეყნის მართვის არმცოდნე ხელისუფლებისთვის, ახალი ცხოვრების შენება ბნელ ოთახში, იატაკზე დავარდნილი თეთრის ძებნის სადარი გამოდგა. ექსპერიმენტულმა, სპონტანურმა, სუბიექტურმა გადაწყვეტილებებმა მძიმე დაღი დაასვა ქვეყნის ეკონომიკას. მარტო სამტრედიის რკინიგზის გადაკეტვა რად ღირს შემდეგი განცხადებით — ამ აქტმა მძიმე ზიანი მიაყენა საბჭოთა კავშირსო.

ეკონომიკურ და სოციალურ გაუარესებას ცეცხლზე ნავთი დაასხა პოლიტიკურმა კინკლაობამ, თვით მმართველ „მრგვალ მაგიდაში“ გუშინდელ თანამებრძოლთა უკომპრომისო დაპირისპირებამ. ქუჩაში დარჩენილ პარტიათა გამუდმებულმა თავდასხმებმა ხელისუფლებაზე არანაკლები არეულობა გამოიწვია.

რუსთაველის პროსპექტი ე.წ. ქუჩის ოპოზიციის მოშიმშილეთა წამოსაწოლი ადგილი გახდა. კარვებით და ლეიბებით აღჭურვილი ოპოზიცია ერთობ არასახარბიელო სურათს ქმნიდა, რაც აღინიშნა კიდევაც საქართველოში ჩამოსულ ამერიკელ კონგრესმენთა მხრიდან. კონგრესმენთა დელეგაციის რუსთაველის პროსპექტზე ჩავლას და წამოწოლილ ოპოზიციონერებთან დალაპარაკებას მოჰყვა მათი ასეთი განცხადება - ჩამოურიგოს ხელისუფლებამ ამ პარტიებს სახელმწიფო თანამდებობები და არავითარ პროტესტს ადგილი არ ექნება.

არანაკლებ ქაოტური იყო ხელისუფალთა განცხადებები, უპირველესად მოსკოვის მისამართით გამოთქმული. რუსეთი გადაიქცა ნომერ პირველ მტრად, რაც, იქიდან მოყოლებული, დღესაც გრძელდება. მკვახე იყო ამერიკისადმი რიტორიკაც, რამაც აშშ-ს მაშინდელ პრეზიდენტ ბუშს (მამას) ათქმევინა შემდეგი — გამსახურდია მდინარის საწინააღმდეგოდ მიცურავსო.

ყურს ჭრიდა შემდეგი ხასიათის განცხადებები „საქართველო — ქართველებისთვის“, „აჭარის ავტონომიის სტატუსის გადახედვა“ და სხვა. პირველს მოჰყვა აზერბაიჯანული წარმოშობის მოსახლეობასთან დაპირისპირება, მეორეს — ფართომასშტაბიანი ანტისამთავრობო გამოსვლა აჭარაში. დაიძაბა, ისედაც დაძაბული ურთიერთობა აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთთან. საქართველო ორ ნაწილად გაიყო — ზვიადის მომხრეებად და მოწინააღმდეგეებად.

**შიდა და გარე ქიშპობა-დაპირისპირების გაგრძელება იყო თბილისის ომი, რამაც საბოლოო წერტილი დაუსვა 9 აპრილის მონაპოვარს, იმჟამინდელ ერთსულოვნებას.**

თბილისის ომმა არა მარტო ფიზიკურად გაანადგურა დედაქალაქის ცენტრი, არამედ დასცა მთელი ქვეყნის მოსახლეობის სულიერება. „მხედრიონის“ გამოჩენამ, ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში კრიმინალურმა თარეშმა, ძარცვა-ქურდობამ, მკვლელობამ კრიმინალი, ჩვეულებრივ მოვლენად აქცია.

არჩეული პრეზიდენტის ქვეყნიდან განდევნა, შევარდნაძის მოსკოვიდან დაბრუნება, აფხაზეთში ომის დაწყება, აფხაზეთის ფაქტობრივი დაკარგვა, უგაზობა, უშუქობა, უპურობა, უფულობა და სხვა მრავალი ნეგატიური მომენტი ხალხის აზროვნების კარდინალური ცვლის სტიმული გახდა.

ერთ დროს სამართლიანობის, მეგობრობის მებაირაღე ქართველი, უპოვართა დამხმარე და კრიმინალთან მებრძოლი — თვით გადაიქცა კრიმინალად, სახელმწიფო ქონების დამტაცებლად, საკუთარი სიამოვნებისთვის მშობლების, ნათესავების, მეგობრების, ახლობლების, ქვეყნის გამწირავად.

შევარდნაძის დროს მიღებულმა გადაწყვეტილებამ კუპონების შემოღების თაობაზე, კუპონებთან დაკავშირებულმა თაღლითობამ, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს არა მარტო იმჟამინდელმა ხელისუფლებამ, არამედ ინტელიგენციის „საუკეთესო“ წარმომადგენლებმაც, წელში გადატეხა ქვეყნის ისედაც უსუსური მონეტარული სისტემა.

**ისტორიის შეფასებისას ვარაუდებით არ ლაპარაკობენ, მაგრამ მოდით, ვივარაუდოთ, რომ არ ყოფილიყო 9 აპრილი, ზემოთ ჩამოთვლილ ნეგატიურ მოვლენებს ექნებოდა ადგილი თუ არა? არ ექნებოდა!**

საქართველო გადაურჩებოდა უმწვავეს კატაკლიზმებს როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკური თვალსაზრისით. არ დაიკარგებოდა ყოფილი ავტონომიები. მეზობელ რუსეთთან იქნებოდა ნორმალური ურთიერთობები და, რაც მთავარია, ზემოთ ჩამოთვლილი უბედურებების მთავარი შემოქმედი სამი პრეზიდენტი არ იქნებოდა!



**ყავაზე მარჩიელობა და ვარაუდი საამური წინასწარმეტყველებით არაფერს გვძენს, მაგრამ მოსასმენად სასიამოვნო ხომ არის?**

**ჰამლეტ ჭიპაშვილი,**
**პოლიტოლოგი.**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

უბის წიგნაკიდან

# მოცალეობის ჟამის ჩანაწერები არაფერზე

## კეთილისმყოფელის ანონიმკა



**პირველი ლედის გარეშე დაბრუნდა მიხეილ სააკაშვილი ბაქოდან. თბილისის საერთაშორისო აეროპორტის ბეტონის ბილიკზე მოალაჯებდა მიშა, როგორც ძახილის ნიშანი ტაბულა რაზაზე, დეპუტატი ირმა ნადირაშვილი კი მორზეს ანბანის აჩქარებული მრავალწერტილივით მობაკუნობდა ლიდერის მარცხენა მხარეს.**

**სადაც, წესით, ქალბატონ რულოვსის ადგილია.**

**!...**

**აი, ასე მოკუნტრუშობდნენ.**

თბილისის ღამეულ ცაზე კი აზიზილპიპილებული ტელეანძა და „ეშმაკის ბორბალი" ამ სიმბოლიკის თავდაყირა გამოსახულებად ახარებდა თვალს.

თუ სააკაშვილის რაობას კოდურ სისტემაში გადავიყვანთ, იგი ასეთ დაშიფრულ ფორმულაში აისახება:

!... „და ასე შემდეგ"

სიმბოლიკა შუმერების დროის.

ძახილის ნიშანი, რა თქმა უნდა, მიშაა; მრავალწერტილი ფაქტებისა და აზრის სიმწირეს ფარავს — ლაყბობის დროს სათქმელის შემოლევას, რომლიდანაც გამოსავალი „ასე შემდეგში" დევს.

მაგრამ „ასე შემდეგის" იქით არაფერია, თუ არ ჩავთვლით უმცირესობის უპერსპექტივო მრავალწერტილს საქართველოს პარლამენტში, რადგან გახსნილია კინგსტონები და იძირება ჩამოწერილი გემი „ვარდების რევოლუცია", ერთ დროს სუპერდრენდოუტად გასაღებული, „უშიშარი", ამერიკაში აგებული ლინკორის კლასის საბრძოლო ხომალდი.

„მტერს არ ნებდება" „ვარიაგი" სააკაშვილი და ბიძინა ივანიშვილთან შეხვედრის დროს მკრთალად მონიშნულ კოაბიტაციის შტრიხებს სრულად წაშლის ბაქოში ვიზიტის დროს მის მიერ გაფრენილი მონაჭორის უპარდონო გამეორებით საბერძნეთის რომელიღაც შინაურ კონფერენციაზე გამოსვლაში: რუსეთში მცხოვრები მარნეულელი ბიზნესმენი გადატრიალებას ამზადებს აზერბაიჯანის ხელისუფლების დასამხობად.

აუჰ!

გადაირია საზოგადოება, სააკაშვილმა კი თავისი ჭია გაახარა და ეს „საიდუმლო ინფორმაცია" საქართველოს მაგალითით გაამყარა: მოხდებაო ისე, როგორც საქართველოში, როცა რუსულმა ფულმა მას ძალაუფლება ხელიდან გამოსტაცა.

ბიძინა იგულისხმა, ცხადია, ივანიშვილი.

ასე და ამრიგად, თქვენს წინაშეა ხორცშესხმული „ანონიმკა", რომელსაც უწინდელ დროში ხელს აწერდა „კეთილისმყოფელი", დღეს კი საქართველოს კეთილისმყოფელის და მედროშის მიხეილ სააკაშვილის ხელმოწერითაა დამშვენებული.

ფრიალებს მიშას დროშა — წინ სიცრუისკენ!

წინ 26 მაისია. რაღა დარჩა. დადგება საქართველოს შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი აღლუმის დროს ჯავშანტრანსპორტიორ „დიდგორის" ფონზე, დროშის ტარს ხელში დაიჭერს და მოგვასაღებს, რომ სამხედრო ტექნიკის ეს სასწაული ქართული სამხედრო მრეწველობის მონაპოვარია, იმ მრეწველობის, რომელიც მოსპო და გაანადგურა ახალმა ხელისუფლებამ.

დაგენიძლავებით, იტყვის!

რუსეთის დაჟანგული ტანკი კი არ არისო.

„რუსეთის დაჟანგული ტანკები" და ტყვიაგამტარი ჯავშანჟილეტები ნაცბოლების ნამინისტრალების — ოქრუაშვილის და ახალაიას პრეროგატივაა.

ეს ერთი.

მეორე. „დიდგორი" ის ობლის კვერიც რომ იყოს, რომელიც კარგად გამოცხვა, მაინც ცალობითი ნაწარმია და არა ქართული სამხედრო მრეწველობის სერიული პროდუქციის საჩვენებელი ნიმუში.

და მესამე. „რუსული დაჟანგული ტანკი", საერთო აღიარებით, მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო T-91C არის, „მფრინავი ტანკი", რომელსაც ნიჟნი ტაგილის მსოფლიოში უდიდესი ქარხანა-გიგანტი უშვებს. აშშ თავდაცვის სამინისტრო თავის პუბლიკაციაში „საბჭოთა სამხედრო ძლიერება" აღნიშნავს, რომ ამ ქარხანას 827000 კვადრატული მეტრი ფართობი უკავია, რაც აშშ ორი ამერიკული ტანკმშენებელი ქარხნის — უორენისა (მიჩიგანის შტატში) და ლიმის (ოჰაიოს შტატში) ერთად აღებულ ფართობს საგრძნობლად აღემატება, და ჯერ კიდევ 80-იან წლებში 2500 ტანკს აწარმოებდა.

„და ასე შემდეგ"...

## კურდღელს აცდენილი უღელი

**საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორს გიორგი კეკელიძეს ამას წინათ ჰკითხეს, თქვენი ბიბლიოთეკით პოლიტიკოსები თუ სარგებლობენო, და ამ პატიოსანმა კაცმა გულახდილად უპასუხა კორესპონდენტს, რომ წიგნის წასაკითხად იქ მისული არც ერთი პოლიტმოღვაწე არ მინახავსო. ცოტა ნამუსიც მოწმინდა: შეიძლება, ვინმე კიდეც იყო, მაგრამ მე არ შემხვედრიაო.**

დავუფასოთ ტაქტიანობა. თუმცა, ძნელი წარმოსადგენია, საჯაროში ჩიორა თაქთაქიშვილი ან აკაკი ბობოხიძე რომ მისულიყვნენ, მისთვის არ მოეხსენებინათ ამ ღირსსახსოვარი ფაქტის შესახებ.

8 თებერვალს ნაცბელადის მოწოდების საპასუხოდ ნაცმასის ნარჩენების მოგლეჯით მისვლა საჯარო ბიბლიოთეკაში მარტო მიშას მოხსენების მოსმენის სურვილით ვერ აიხსნება. ეს იყო საკუთარი ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად მოწყობილი კოლექტიური სვლა, ანუ კორპორაციული ექსკურსია გუდიაშვილის ქუჩაზე: საჯარო მოხელე იციან, — თვითონ არიან, საჯარო სკოლა იციან — შაშკინი განაგებდა, მათი მეგობარი და თანაგუნდელი, საჯარო თავხედობა მათი მოგონილია, და თუ რამე იციან, იციან ეს.

საჯარო ბიბლიოთეკა არ იციან.

მივიდნენ, როგორც ნანა კაკაბაძე ამბობს, ზონდერების მერვე ბრიგადის თანხლებით. მაგრამ „ცნობისმოყვარე" სხვაც იმდენი აღმოჩნდა იმ ქუჩაზე, რომ ვერ შევიდნენ, მიუხედავად სპეციალურად მათთვის გაკეთებული ორი დერეფნისა.

ვერ მოახერხეს.

გიგი უგულავას დირიჟორობით დაჰკრა დაფდაფებს მისმა ზონდერგუნდმა და ქუჩის არეულობა მოსალოდნელი დიდი პროვოკაციის უვერტიურად ქაშვეთის მხარეს საბჭოთა კავშირის ჰიმნად აჟღერდა.



საჯაროში შესვლა კი არა, იქაურობას სასწრაფოდ გაეცალნენ ფერდაკარგული ნაციონალ-ბოლშევიკები.

აღარც თავიანთი პრეზიდენტი ახსოვდათ, არც მის მიერ წარმოსათქმელი სიტყვა, არც ექსკურსია საჯარო ბიბლიოთეკაში.

დიაკვანმა ერთხელ უღელი გადააგდო და ისიც კურდღელს არ მოხვდაო...

თუ პირიქითაა?!

## „დარია თუ ავდარია, მიშა მაგარია"




**სადღაც, რომელიღაც საზღვარგარეთში, რაღაცა წაიტრაბახა სააკაშვილმა და საქართველოში დაბრუნებულმა გაივაჟკაცა: საქართველო „ფარჩაკი" არ გეგონოთო, დაემუქრა ვიღაცას ქურდული სლენგით მოლაპარაკე ჯერ კიდევ პრეზიდენტი.**

— რა არის ეს, ბატონო ავთანდილ, რა ქართულია?! — ვეკითხები ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარეს, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტს ავთანდილ არაბულს.

— ეს არის ენისადმი ფამილარული დამოკიდებულების ნიმუში.

როცა მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის დეფიციტი იქმნება, ეს, უწინარესად, ენობრივ დამოკიდებულებაში გამოიხატება. ენა ყველაზე მალე და ყველაზე ნათლად ასახავს ადამიანის მენტალურ ცვლილებას, ფსიქიკურ ცვლილებას და ა.შ. ეს ნიშნავს, რომ შეგვიძლია ამ ადამიანს სამედიცინო დიაგნოზი დავუსვათ ენის, მეტყველების საფუძველზე.

პოლიტიკოსების ენაში ასეთი ვულგარიზმების, ფამილარიზმების, ასეთი ლექსიკის, გამონათქვამების შემოსვლა რყვნის ენას.

მაგალითად, „მაგარია" ჟარგონიზმია. პოლიტიკოსის მეტყველებაში მისი გამოყენება მიზანშეწონილი არ არის. რიგით, საოჯახო საუბარში უხერხულობას არ ქმნის. მაგრამ თუ პოლიტიკოსზე ამბობენ „მაგარია", მან ეს შეურაცხყოფად უნდა მიიღოს:

**— „დარია თუ ავდარია, მიშა მაგარია?!"**

— ეს პრობლემა საზოგადოა.

როგორც კი სახელმწიფოებრივი დამოკიდებულება შეიცვლება სახელმწიფო ენის მიმართ, იმ წუთში შეიცვლება დამოკიდებულება საზოგადოებისაც.

ტრანსპორტში ვინმეს კუთხურად რომ მოექცია, ყველა გამოხედავდა, რადგან ეს უკულტურობის გამოხატულება იყო.

ახლა სადამდე მივედით? მანერა გახდა, რომ ტელევიზიით გამოსვლის დროსაც კი წაუკუთხურებენ. ეს არის უპასუხისმგებლო დამოკიდებულება ენის მიმართ.

რა დიდებულებასთან გვაქვს საქმე და ჩვენ გავუშინაურდით!

* * *

**გესმით, პატივცემულო მიხეილ?**
**თუმცა, რაღა დროს სწავლაა და ჭკუის დარიგება!**

**არმაზ სანებლიძე**

ალიან-ჩალიანი

# მალე გაიხსნება „ცენტრ პოინტის" თაღლითური სქემა

**სამშენებლო კომპანია „ცენტრ პოინტის" წარმომადგენლების მიერ განხორციელებულ თაღლითობის ფაქტზე მთავარ პროკურატურაში გამოძიება მიმდინარეობს.**

**როგორც მთავარი პროკურატურის განცხადებაშია ნათქვამი, აღნიშნულ ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე 2012 წლის 22 ოქტომბერს შინაგან საქმეთა სამინისტროში აღიძრა. საუბარია „სისხლის სამართლის კოდექსის" 180-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ დანაშაულზე.**

**საქმე მთავარი პროკურატურის საგამოძიებო ნაწილს 2012 წლის დეკემბერში გადაეცა. იმის დასადგენად, რომ „ცენტრ პოინტი ჯგუფის" სახელით განხორციელებული სხვადასხვა პროექტების მიმდინარეობისას, მასში შემავალი კომპანიების ხელმძღვანელი პირების მხრიდან ადგილი ჰქონდა თუ არა მენაშენეთა კუთვნილი თანხების არამიზნობრივად გამოყენებას და მითვისება-გაფლანგვის ფაქტებს, კომპანია „დექსუსი"-დან ამოღებულ იქნა „ცენტრ პოინტ ჯგუფში" შემავალი ბინათმშენებლობის ამხანაგობების, შეზღუდული პასუხისმგებლობისა და სააქციო საზოგადოებების საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის ამსახველი სრული დოკუმენტაცია.**

**— 2013 წლის 25 იანვარს ამოღებულ დოკუმენტებზე დაინიშნა რევიზია. ამჟამად დასრულებულია ერთ-ერთი კომპანიის, სს „ევრაზიის საინვესტიციო სააგენტო"-ს შემოწმება. მითითებულმა „სააგენტომ", ბინათმშენებლობის ამხანაგობა „თაბუკაშვილი 88"-ის დაკვეთით, განახორციელა მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობის ფინანსირება გოთუას ქუჩაზე (საავაძის მოედანთან, ქ.თბილისის მერიის მიმდებარედ). რევიზიის მიმდინარეობის პროცესში შემმოწმებლების მიერ გამოვლენილ იქნა დაახლოებით 20-მდე ფაქტი, აღნიშნული კომპანიის წარმომადგენელთა მხრიდან მენაშენეთა კუთვნილი თანხების არამიზნობრივ გამოყენებასთან დაკავშირებით. მიმდინარეობს რევიზიის პროცესში გამოვლენილი ფაქტების შესწავლა, რის შემდეგაც გაგრძელდება ინტენსიური საგამოძიებო მოქმედებები. დაიკითხებიან ის პირები რომლებსაც არამიზნობრივად გატანილი აქვთ დიდი ოდენობით თანხები. ამ ეტაპისათვის მოწმის სახით დაკითხულია 24 პირი, მათ შორის დაზარალებული მენაშენეები და სს „ევრაზიის საინვესტიციო სააგენტოს" ხელმძღვანელი პირები. საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების შემდეგ, რევიზიის პროცესში გამოვლენილ ფაქტებს მიეცემა სამართლებრივი შეფასება. პარალელურად, სარევიზიო ჯგუფის მხრიდან გრძელდება „ცენტრ პოინტ ჯგუფში" შემავალი სხვა კომპანიების საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის შემოწმება, — აცხადებს მთავარი პროკურატურა.**

ინტერპრესი



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

პრობლემა



# „ჩრდილოვანი ბანკების“ თავაშვებულობით ათასობით ადამიანი ქუჩაში რჩება

**კერძო იპოთეკარების, ე. წ. „ჩრდილოვანი ბანკების“ (დავარქვათ პირდაპირი სახელი — მევახშეების) თავაშვებულობის შედეგად უამრავი ჩვენი თანამოქალაქე ქუჩაში რჩება. მათ კრიტიკა უკვე მთავრობაშიც დაიმსახურეს, იუსტიციის მინისტრის ამასწინანდელი განცხადებით მათზე კონტროლი საკანონმდებლო დონეზე უნდა გამკაცრდეს.**

წინა ხელისუფლებამ სხვა ვერაგულ კანონებთან ერთად მევახშეების ფაქტობრივი ხელშეუხებლობის კანონიც დაგვიტოვა. მათი საქმიანობა სამოქალაქო კოდექსით რეგულირდება და მხოლოდ საშემოსავლო გადასახადს იხდიან. იმისათვის რომ საქმიანობა დაიწყონ, კერძო იპოთეკარებს არანაირი ლიცენზია არ სჭირდებათ.

არაოფიციალური ინფორმაციით დღეისათვის მოქმედებს 50-მდე საშუამავლო ფირმა (მევახშეთა ბუნაგი). იქ მისული მსესხებელი მევახშეს მიჰყავს ამ საქმეებში ნაცად და გამოცდილ ნოტარიუსთან, იდება 1, 2 ან 3-წლიანი ხელშეკრულება. ვადის ამოწურვისთანავე (თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში) იპოთეკარად მონათლული მევახშე არ ითვალისწინებს მევალის ინტერესს მას ან ყიდვა-ნასყიდობის ხელშეკრულებაზე აწერინებს ხელს, ან ქონება ეგრევე გააქვს აუქციონზე.

## რატომ აკითხავენ მევახშეს

**მათ მაშინ მიმართავენ, როდესაც ბანკი არ იძლევა კრედიტს. მსესხებელს შელახული აქვს საკრედიტო ისტორია, არ შეუძლია წარადგინოს შემოსავლების შესახებ ცნობა.** კერძო ინვესტორი კი მათგან არავითარ ცნობას არ ითხოვს. მას მხოლოდ ერთი რამ აინტერესებს — მსესხებლის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება და მისი ფლობის კანონიერება. ბანკებისაგან განსხვავებით ასეთი სესხის მიღება შესაძლებელია სწრაფად. სესხზე განაცხადი განიხილება ერთი დღე-ღამის განმავლობაში და მეორე დღეს ნოტარიუსთან მისვლისთანავე მსესხებელს თანხა ხელზე აქვს. ის მხოლოდ წერილობით თანხმობას აწერს ხელს გირაოს ქონებაზე და თანხმობას დაკრედიტირების პირობებზე.

## საფრთხეები

**ყველაზე დიდი საფრთხეა პროცენტები. ისინი მევახშეებთან მაღალია, ბანკებთან შედარებით. ამასთანავე პროცენტები გაითვლება არა წლიური, არამედ თვიური და ზოგჯერ დღიური განაკვეთებითაც და მერყეობს 3-10 პროცენტს შორის.**

თუ საბანკო კრედიტის შემთხვევაში ბანკი ცდილობს, ასე ვთქვათ, მთლად არ დაახრჩოს მსესხებელი და ზოგ შემთხვევაში ხარჯების დაფარვის შემდეგ დარჩენილი ნამეტი თანხა დაუბრუნოს მას, კერძო ინვესტორები ამას ნაკლებად აკეთებენ. იმის გამო, რომ სამოქალაქო კოდექსით მევახშეები პრაქტიკულად თავისუფალნი არიან ყოველგვარი პასუხისმგებლობისაგან, სესხებზე აწესებენ კვაზიმევახშურ პროცენტებს. ვალის გადაუხდელობის შემთხვევაში სასამართლოს ჩარევის გარეშე ართმევენ ქონებას. ეს ჩადებულია დაკრედიტების პირობებში.

## რას ფიქრობენ ექსპერტები

**ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში ლია ელიავა აცხადებს, რომ თუ სესხების კუთხით ბანკებს აქვთ გარკვეული დარეგულირებული ჩარჩოები როგორც საბანკო კანონმდებლობის, ასევე ეროვნული ბანკის ნორმატიული დოკუმენტების მეშვეობით, კერძო, ამ შემთხვევაში ინვესტორის, სამოქალაქო კოდექსის ნორმები იმდენად ზოგადია, რომ მისი საქმიანობა ხშირად კანონით არ ისჯება.**

მისივე თქმით, ნებისმიერი ეკონომიკური საქმიანობა, მათ შორის მევახშეობაც, აუცილებლად უნდა წესრიგდებოდეს შესაბამისი კანონმდებლობით. პირველ რიგში, ამბობს ელიავა, უნდა არსებობდეს ასეთი სახის მეწარმის რეესტრი ფინანსურ ბაზრის მარეგულირებელ ორგანოში, საქართველოს ეროვნულ ბანკში. ამ უკანასკნელს კი უნდა ჰქონდეს საშუალება აკონტროლოს ფულადი სახსრების მოძრაობის პროცესი, ამიტომ აუცილებელია კრედიტორების მიერ ფინანსური ანგარიშების წარდგენა. მნიშვნელოვანია ისიც, აკონკრეტებს ექსპერტი, რომ მევახშეები ისევე იხდიდნენ გადასახადს, როგორც ყველა სხვა მეწარმე.

სპეციალისტების განმარტებით, მრავალ ქვეყანაში არსებობს კანონი იპოთეკის შესახებ. მასში მკაცრად არის გაწერილი, თუ რა სახის უძრავი ქონება შეიძლება დაგირავდეს, რა შემთხვევაში და რა პირობებით. მაგალითად, არც ერთი კრედიტორი გირაოდ არ მიიღებს ფიზიკური პირის ერთადერთ საცხოვრისს. ასეთია კანონის მოთხოვნა.

ექსპერტი საბანკო საკითხებში გოჩა თუთბერიძე ამბობს, რომ კერძო იპოთეკარებზე, მევახშეებზე კონტროლი ეროვნულმა ბანკმა უნდა განახორციელოს. იგი აქვე დასძენს, რომ დღეს ეკონომიკისათვის ფულის მიმწოდებლები არიან მხოლოდ კომერციული ბანკები და კერძო იპოთეკარები. ფულის გამცემი სხვა მექანიზმი ან ორგანო არ არსებობს. მეორადი საფინანსო ბაზრის გაჩენის შემთხვევაში სიტუაცია მკვეთრად შეიცვლება.

## ხელისუფლების პოზიცია

**პარლამენტის საფინანსო საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომერე დავით ონოფრიშვილი აცხადებს, რომ ამ საკითხზე საკანონმდებლო მუშაობა მიმდინარეობს.**

იგი ამბობს, რომ ამ ეტაპზე ძნელია იმაზე საუბარი, თუ ვინ განახორციელებს კერძო იპოთეკარზე ზედამხედველობას. შეიძლება ზედამხედველობა ეროვნულ ბანკს დაევალოს. მაგრამ ეს არ ნიშნავს, აკონკრეტებს კომიტეტის თავმჯდომარე, რომ ჩვენ ორგანიზაციებს პროცენტების დაწესებაში შევზღუდავთ. მათი საქმიანობა კომერციაა და გათვლილია გარკვეულ რისკებზე. მთავარია, რომ უზრუნველყოფილი იყოს კლიენტსა და იპოთეკარს შორის სამართლიანი და კანონს დაფუძნებული ურთიერთობები, ამტკიცებს დავით ონოფრიშვილი.

**ზაზა ბილიხოძე**

სახელმწიფო ბიუჯეტი

# საგადასახადოს „ჩინურობა“ მალე დასრულდება

**ქვეყნის ფინანსთა სამინისტროს ანგარიშებს თუ დავაკვირდებით, ბიუჯეტთან დაკავშირებული ბევრი საკითხი (ეს, უწინარესად, ცხადია, მის შევსებას ეხება) ბოლო დროს საკმაოდ წარმატებით წყდება, რაც სამომავლოდ გარკვეულ პოზიტიურ ცვლილებათა იმედს უსახავს მოსახლეობას.**

ამასთან დაკავშირებით, განცხადება ფინანსთა მინისტრმა ნოდარ ხადურმა გააკეთა, რომელმაც, კერძოდ, აღნიშნა, რომ საგადასახადო შემოსავლის მხრივ ბიუჯეტის გადაჭარბებით შესრულების ტენდენცია სტაბილობას ინარჩუნებს, რასაც ის გარემოება მოწმობს, რომ წლევანდელი პირველი კვარტალის ნაერთი ბიუჯეტი შარშანდელ ანალოგიურ მაჩვენებელს 63,6 მილიონი ლარით ჭარბობს. **მიღწეული წინმსწრები ტემპისა და საექსპერტო ანალიზის გათვალისწინებით, ფინანსთა სამინისტროში წლეულს დაგეგმილი 6-პროცენტიანი ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლის გადაჭარბებაზეც ალაპარაკდნენ, თუმცა კი ხაზს უსვამენ იმ გარემოებას, რომ, მიუხედავად მიღწეული წარმატებისა, მაკროეკონომიკური პარამეტრების გადახედვის მყარი საფუძველი ჯერჯერობით მაინც არ არსებობს, საჭიროა, სულ მცირე, ნახევარი წლის შედეგების დაჯამება.**

რაც შეეხება კონკრეტულ მაჩვენებლებს, გასულ თვეში ნაერთი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავალმა 745,5 მილიონი ლარი შეადგინა, რაც 41,5 მილიონი ლარით მეტია შარშანდელი მარტის თვის ანალოგიურ მონაცემებზე. ასევე გადაჭარბებით იყო შესრულებული იანვარ-თებერვლის საშემოსავლო პარამეტრებიც: იანვარში გადაჭარბებით იქნა მობილიზებული 10,1 მილიონი ლარი, თებერვალში — 12 მილიონი ლარი.

ნაერთი ბიუჯეტის გარდა გადაჭარბებითაა შესრულებული სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო პარამეტრი: იანვარ-მარტში მთლიანმა შემოსავალმა მილიარდ 553,5 მილიონი ლარი შეადგინა, რაც 55,3 მილიონი ლარით აჭარბებს 2012 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს.

საგანგებოდაა აღსანიშნავი, რომ ფისკალური წნეხის შესუსტების მიუხედავად, რასაც წლიდან წლამდე ასე უმოწყალოდ აძლიერებდა წინა მთავრობა, სალარო-საკონტროლო აპარატები სხვადასხვა სახეობის სავაჭრო ობიექტში კვლავაც წარმატებით ფუნქციონირებს, რასაც უტყუარად მეტყველებს ამორტყმული ჩეკების ოდენობა, ასევე, მათ შესაბამისად, სახელმწიფო ბიუჯეტში მობილიზებული თანხები: შარშანდელი ანალოგიური მაჩვენებელი წლეულს პირველ კვარტალში დაახლოებით 32 მილიონი ლარითაა გადაჭარბებული.

ნაერთი თუ სახელმწიფო ბიუჯეტის გადაჭარბებით შესრულება, ცხადია, თავისთავად უდიდესი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ამბავია, თუმცა კი, ჩვენი აზრით, არანაკლებ მნიშვნელოვანია ექსპორტის ზრდა, რომლის მატება 2013 წლის პირველ კვარტალში შარშანდელ ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, მართალია, არცთუ დიდია და მხოლოდ 16 მილიონ დოლარს შეადგენს, მაგრამ თავისთავად მეტად სასიხარულოა.

ბიუჯეტის შესრულებისა და მაკროეკონომიკური პარამეტრების მაჩვენებელთა ცვალებადობის დადებითი ტენდენცია ქვეყანაში ეკონომიკური და ფისკალური გარემოს უკეთესობისკენ მოძრაობას მიანიშნებს. ეს ასევე იმის დადასტურებაა, რომ ბოლო დროს საგრძნობლად გააქტიურდა მცირე და საშუალო საწარმოთა საქმიანი მოღვაწეობა, რაც მთლიანობაში ბიზნეს-გარემოს გამოკეთების ნიშანია. 2013 წლის პირველი სამი თვის მონაცემების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, წლევანდელი სახელმწიფო ბიუჯეტი ყოველგვარი დაძაბულობის გარეშე შესრულდება.

ფინანსთა სამინისტროს ხელმძღვანელობას საკმაოდ იმედიანი განწყობილება აქვს წლეულს ქვეყანაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინების მხრივაც, თუმცა კი, შარშანდელი ბოლო ცხრა თვის მანძილზე მათი შემცირების მდგრადი ტენდენცია აღინიშნებოდა. უცხოურ კაპიტალდაბანდებათა ძირითად წყაროებად ქვეყნის მთავრობის ეკონომიკური გუნდი გერმანიას, უკრაინასა და პოლონეთს, ნაწილობრივ რუსეთს მიიჩნევს, რომელთა საქმიანი წრეები საქართველოს ეკონომიკაში გარკვეული ფინანსური სახსრების ინვესტირებით არიან დაინტერესებულნი. გარკვეულ იმედებს აზიის რამდენიმე ქვეყნის ბიზნეს-წრეებსაც უკავშირებენ, რომლებთან მედიატორად აზიის განვითარების ბანკი მოიაზრება.

გასაკვირი სულაც არ არის, რომ ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ხელშემწყობი თუ ხელშემშლელი საკითხია საგადასახადო კანონმდებლობა, რომელშიც გარკვეულ ცვლილებათა შეტანის აუცილებლობაზე ექსპერტები დიდი ხანია ლაპარაკობენ. ამ მხრივ, კერძოდ, ერთ-ერთ საკვანძო — საგადასახადო განაკვეთების — შემცირებისკენ გადახედვა არ იგეგმება, რადგან ეს, ავტომატურად, სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახადებით შევსებას შეასუსტებდა და, ბუნებრივია, მისი პარამეტრების დაწევის მიმართულებით გადახედვას მოითხოვდა. ინტენსიური მუშაობა ძირითადად ფინანსური ადმინისტრირების გაუმჯობესების, მისი უფრო გასაგებად ჩამოყალიბების მიმართულებით მიმდინარეობს, თორემ ზოგიერთი მუხლი თავად ფინანსისტებისთვისაც ერთგვარად „ჩინური ანბანია“.

ის გარემოება, რომ წინა მთავრობის მიერ აღებული საგარეო ვალი ქვეყნის ბიუჯეტს წლების მანძილზე მძიმე ტვირთად აწევს, ახალი ამბავი არ არის, სიახლე კი ისაა, რომ წლეულს მთავრობა მის 200 მილიონი ლარით შემცირებას აპირებს. თავად დარჩენილი ნაწილის მომსახურება კი ჩვეულებრივი რეჟიმით გაგრძელდება, რისთვისაც ბიუჯეტი დაახლოებით 360 მილიონ ლარს გაიღებს.

**ოთარ ტურაბელიძე**



№66-67. ხუთშაბათი, 11 აპრილი, 2013 წელი.

სოციალური სამართალი

# ხელფასი უნდა ეყოს მინისტრს თუ მინისტრი – ხელფასს?

**მსახიობი, პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატი ზაზა პაპუაშვილი პრესისთვის მიცემულ ინტერვიუში იხსენებს: „მოსკოვში ქართველი ხელოვანების ჩასვლას ყოველთვის დიდი დატვირთვა ჰქონდა. ხელოვნება ჩვენი ბრძოლის საშუალება, ჩვენი იარაღი იყო. ამ გზით ვაჩვენებდით, ვინ ვიყავით და ისინიც ხვდებოდნენ, რომ ერთან ჰქონდათ საქმე და არა ადამიანების ნაკრებთან. ოლეგ ტაბაკოვმა „გოდოს მოლოდინში" რომ ნახა, თქვა, თავი დავანებოთ ამ ნიჭიერ ნაგიჟარ ქართველებს, მათი მწყემსვა შეუძლებელია, ნურავინ იფიქრებს მათ რაიმე საზღვრებსა და ჩარჩოებში ჩაკეტვასო".**

სამწუხაროდ, ის, რაც იცის რუსმა ოლეგ ტაბაკოვმა, აღმოჩნდა, რომ არ იცოდა ქართველმა მიხეილ სააკაშვილმა, რომელმაც თავი ერთბაშად გაისულელ-მოიგიჟიანა და ქართველთა მწყემსვა გადაწყვიტა. თავის მხრივ, ხალხმაც მოიგიჟიანა თავი და პრეზიდენტად მოვლენილ „მწყემსმთავარს", რაც კი ბავშვობისას სიზმრად ენახა და ზღაპრად მოესმინა, ყველა სურვილი და ნატვრა ხორციელად აღუსრულა. მთელმა მსოფლიომ იცის, ერთეული დიქტატორებისა და არაბი შეიხების გარდა, არც ერთ პრეზიდენტს არ უცხოვრია ისეთი ფუფუნებით, როგორითაც იცხოვრა და ცხოვრობს ამჟამადაც საქართველოს პრეზიდენტი სააკაშვილი, არავის ჰქონია მისნაირი ძვირფასი სასახლე (თვით ამერიკის პრეზიდენტსაც კი) არავის უფრენია საპრეზიდენტო „ბოინგით", რომლის ფასიც ასეულობით მილიონს აღწევს.

რა თქმა უნდა, მარტო პრეზიდენტის გაფუფუნება ვერაფერ მიღწევად ჩაითვლებოდა, თუ ხელისუფლების დანარჩენი ჩინოვნიკობა ხრიოკ მინდორზე მოწეული ასკილის ნაყოფით გამოიკვებებოდა. თავკერძა ნაცების მმართველობის საერთო ეროვნული წარმატების ნიშნული არა ცალკეული ბობოლების, არამედ მთელი სახელისუფლებო ელიტის სისტემურ ფუფუნებაშია. მათივე დამსახურება გახლავთ ის ენთუზიაზმი, რასაც ხალხი, რიგითი ადამიანები მთავრობის გაზრდილი მადის დასაოკებლად პირადი ქონების „საკუთარი სურვილით" ჩუქებისას იჩენდნენ. თუმცა მარტო ეს წყარო (პირადი ქონების ჩუქება) აბა რა კბილის ქარად გასწვდებოდა იმ სიმდიდრეს, რაც მიშნაცებმა ცხრაწლიანი მმართველობის პერიოდში დააგროვეს. ამიტომაც იმთავითვე სხვა წყაროებიც მოიძიეს – ვინც კი რაიმე ბიზნესი წამოიწყო, ყველასთან „წილობანა" გააბეს, მონოპოლისტებს და ინვესტორებს „გარიგებები" შესთავაზეს, ვინც არ დაემორჩილა, ციხეში გამოამწყვდიეს და მილიონები ააფცქვნეს. ამასთან, სიმდიდრეში ჩაქცეულმა ნაცებმა შექმნეს ილუზია, მთელ საქართველოს და მასთან ერთად მთელ მსოფლიოს არწმუნებდნენ, რომ ეკონომიკურად „აყვავებულ" ქვეყანაში სხვებიც მათსავით მდიდრები და ბედნიერები იყვნენ.

ჰოდა, როგორც მაღალცივილიზებულ ევროპაში, ისე დემოკრატიის მეტრად აღიარებულ ამერიკაში, გაჩნდა ლეგენდა დიდი დემოკრატ-რეფორმატორი სააკაშვილისა და მისი რეფორმების წყალობით ერთიანად გამდიდრებულ-აყვავებული საქართველოსი. **იმ საქართველოსი, რომელიც, გაერო და მსოფლიო ბანკი წარმატებულ რეფორმირებულ ქვეყნად რომ გვიხატავდნენ, მათივე მონაცემებით, ამჟამად ევროპის 44 ქვეყანას შორის სიღარიბის მაჩვენებლით თურმე 42-ე ადგილზე იმყოფება, სადაც ნახევარი მილიონი დედა და ბავშვი სიღარიბის ზღვარს ქვემოთაა და მათი შვილები ყოველდღიური შიმშილისთვის არიან განწირულნი.**

ცხადი გახდა, რომ ახალ მთავრობას, რომელიც გასული წლის ოქტომბერში არჩევნებით მოვიდა, ნაცების ნატყუარი გზით სიარული არ გამოადგებოდა და ამიტომაც ივანიშვილის ხელისუფლება ხალხისკენ 180 გრადუსით შემოტრიალდა. მორჩა, დამთავრდა, წერტილი დაესვა, თქვეს მათ, სააკაშვილისეულ ზღაპრებსა და თვალთმაქცობას, ისინი ხალხს თავიანთ მსახურად იყენებდნენ, თავად მდიდრდებოდნენ და ქვეყანას სიღატაკეში ახრჩობდნენ, ჩვენ პირიქით მოვიქცევით, ხალხს მოვემსახურებით, ქვეყანას ჭაობიდან ამოვიყვანთ და ადამიანებს ნაოცნებარ ცხოვრებასა ვწევთო.

რამდენად სწრაფად აუხდენს ხალხს „ქართული ოცნება" ნაოცნებარს, ამის პროგნოზირება ალბათ გაჭირდება, მაგრამ ერთი რამ ფაქტია: ახალმა ხელისუფლებამ რეალურად მოკიდა ხელი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას, განადგურებული სოფლის მეურნეობის აღდგენას, მთავრობის წევრები, მინისტრები, პარლამენტარები დაკავებული არიან საქვეყნო საქმეებით და არა კონიუნქტურით, ათასი ჯურის მაქინაციებით, რათა სიმდიდრე დააგროვონ და ფუფუნებით იცხოვრონ. თუმცა, აქვე გაჩნდა პრობლემა, რომ თუ ხელისუფლების მსხვილ-მსხვილი ჩინოვნიკები სინდისს დაიწმინდავებენ, არც ინვესტორს ჩაუსხდებიან წილში, არც ბიზნესმენებს და არც მონოპოლისტებთან შევლენ უწმინდურ-ბინძურ გარიგებებში, მაშინ რით იცხოვრებენ, სუფთა ხელფასით? წმინდანის მორალით რომ არ აპირებენ ცხოვრებას, ამის პრეცენდენტი უკვე გაჩნდა – რამდენიმე მინისტრმა ცდუნებას ვერ გაუძლო, სული წაიწყმიდა და იქით ნაცებისდროინდელ ჩინოვნიკებს ამორალობისთვის რომ აგინებდა, აქეთ საკუთარ თავს სამუშაოს დაწყებიდან ერთი თვის თავზე პრემია გამოუწერა. თანაც დაგვამუნათა, რა ვქნა, კანონი იყო ასეთი და იძულებული ვიყავი, პრემია, მინდოდა თუ არ მინდოდა, მაინც ამეღოო(!).

ბიძინა ივანიშვილს „იძულებით პრემირებული" მინისტრები არ დაუსჯია და ამის გამო არც ხმაური აუტეხავს, მაგრამ, როგორც ჩანს, იფიქრა და პრობლემის გადასაჭრელად ისლა მოიფიქრა, რომ ამა წლის 15 მარტს ბრძანება გამოსცა, რომლის თანახმად **საქართველოს მინისტრებს საფინანსო წლის განმავლობაში დაუწესდებათ დანამატი, თითოეულს თვეში 4335 ლარის ოდენობით. გავრცელებული ინფორმაციით, მინისტრების ხელფასები აქამდე თუ 3500 ლარს შეადგენდა, ახლა ის 7 835 ლარამდე გაიზარდა. ამასთან, მთავრობის პრესცენტრის განმარტებით, მინისტრების ხელფასები 12 პროცენტით შემცირდა და ისინი ხელზე მხოლოდ 6300 ლარს აიღებენ.**

აი, ხომ ხედავთ, სულ რაღაც 6300 ლარი დარჩებათ შინ წასაღებად, წინა მინისტრებს კი არავინ არაფერს უთვლიდა, რაც უნდოდათ და რამდენიც უნდოდათ, შინ იმდენს ეზიდებოდნენ. ამის მიუხედავად, პრემიერის გადაწყვეტილებამ საზოგადოების ერთ ნაწილში სერიოზული გაღიზიანება გამოიწვია. სოციალურ ქსელებში უმალ გაჩნდა მოქალაქეთა კომენტარები: „ჩემთვის რა მნიშვნელობა აქვს მინისტრს პრემია დაენიშნება თუ ამას დანამატი დაერქმევა. ფაქტია, რომ ახალმა მინისტრებმაც გაიზარდეს ხელფასები. „**ამასთან ბევრს გაუჩნდა კითხვა: მინისტრებს ხელფასები თუ გაეზარდათ, იმავდროულად იგივე ხელფასები 12 პროცენტით როგორღა შეუმცირდათ?** მთავრობის პრესსამსახურს ამასთან დაკავშირებითაც აქვს პასუხი: დაანგარიშდა მინისტრების მთლიანი სახელფასო ფონდი და მათთვის ახლა დანიშნული ხელფასი წინა ხელისუფლების პირობებში არსებულთან შედარებით 12 პროცენტით ნაკლებია.



მთავრობის მიერ გაკეთებული ინფორმაციით, მინისტრებისთვის ხელფასების ამგვარი წესით დანიშვნის მოტივი ის არის, რომ მოისპოს პრემირების მანკიერი პრაქტიკა, როგორც ეს წინა ხელისუფლების პერიოდში იყო. პრემიერი მინისტრებს გაზრდილ ხელფასს იმიტომ აძლევს, რომ მათ კორუფციაზე ხელი აღარ წასცდეთ. ეს საქმე თვითდინებაზე და პირად სინდისზე რომ იყო მიგდებული, ამიტომაც უწერდნენ მინისტრები საკუთარ თავს ხელფასზე ორჯერ და სამჯერ მეტ პრემიას. ახლაც ყველას ახსოვს, ნიკა გილაურმა როგორი სიმსუბუქით გააცუნცულა 200-ათასლარიანი პრემია(!).

მიშნაცების ხელისუფლებისდროინდელი ჩინოვნიკები რა წურბელებიც იყვნენ, დღეს ყველასთვის ცნობილია, მაგრამ ამჟამინდელი მინისტრებისთვის ხელფასების ასე მოუზომავად მიცემამ ხალხი მაინც ეჭვში ჩააგდო – **ამათაც ხომ არ შეეპარათ სიმდიდრისადმი სწრაფვის მაცდუნებელი ბაცილა? მინისტრებს ვითომ საკუთარი თავის პრემირების შანსი მოუსპეს, მაგრამ არსებული ხელფასის (3500 ლარი) 80 პროცენტით გაზრდით, ფაქტობრივად, პრემირების ძველი სისტემა ხომ არ „გააპრავეს"?** რა თქმა უნდა, მინისტრის ხელფასი არ უნდა ჩამორჩებოდეს კომერციულ სტრუქტურაში მომუშავე რიგითი თანამშრომლის ხელფასს, მაგრამ განა რამდენჯერ შეიძლება აღემატებოდეს მას?

ეკონომიკის ექსპერტ სოსო არჩვაძის აზრით, **„ქვეყანაში ღირსეული ხელფასები უნდა ჰქონდეთ არა მარტო მინისტრებს, არამედ ნებისმიერ დაქირავებულ პირს. ხელფასი საკმარისად მაღალი უნდა იყოს იმისთვის, რომ მინისტრმა, რომელიც პასუხისმგებელია უზარმაზარი მატერიალური და ფინანსური რესურსების განკარგვაზე, უზრუნველყოს მათი მაქსიმალურად ეფექტიანი გამოყენება სახელმწიფო ინტერესების შესაბამისად და არა პირადი ან კორპორატიული ინტერესებისთვის. თუმცა უნდა არსებობდეს გარკვეული თანაფარდობა საშუალო სიდიდის ხელფასსა და მინისტრის ხელფასს შორის. ამ მხრივ სანიმუშოა აშშ-ის გამოცდილება, სადაც მინისტრის ხელფასი საშუალო ხელფასს მხოლოდ 6-8-ჯერ აღემატება".**

ჩვენთან როგორი თანაფარდობაა დასახელებულ ხელფასებს შორის, ოფიციალური სტატისტიკის „ობიექტური მონაცემების" პირობებში, ალბათ, ეშმაკიც ვერ გაარკვევს. აი, პენსიასთან (125 ლარი ) შედარებით კი ყველაფერი ნათელია, **მინისტრის ხელფასი მეტჯერ თუ არა, 50-ჯერ მაინც აღემატება ხანდაზმულთა პენსიას, რაც მატერიალურს რომ თავი გავანებოთ, ისეთ ღატაკ ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, მორალურ-ზნეობრივი თვალსაზრისითაც ვერაფერი საქციელია.** თანაც ეს ჩვენი მინისტრები გაზრდილი ხელფასებით კმაყოფილიც რომ არ არიან? ამას წინათ, როცა ერთ-ერთ მინისტრს ჟურნალისტებმა კითხვა შეაპარეს, ვითომ გეყოფათ ამხელა ხელფასებიო, იცით რა უპასუხა? ოჯახში სამი სული ვართ, რა თქმა უნდა, ყოფნით არ გვეყოფა, მაგრამ მეტი რა ჩარაა, უნდა ვიმყოფინოთო.

**ანაზდად მუშნი ზარანდიას ნათქვამი გამახსენდა: კაცი უნდა ეყოს ხელფასს და არა ხელფასი კაცსო. კარგი იქნება ჩვენი დროის ხალხზე მზრუნავი ჩინოვნიკები იმდროინდელი „კოლეგების" მადით მაინც თუ დაკმაყოფილდებიან. ბავშვმაც კი იცის, კარგი მინისტრის ღირსება არა მაღალ ხელფასში, არამედ მის კვალიფიკაციასა და კაცურკაცობაშია. გეკითხებით, ხედავთ, კი აქ სადმე სოციალური სამართლიანობის ნიშანს, რასაც „ქართული ოცნება" ასე გულითადად შეგვპირდა?**

**ოთარ ხუციშვილი**

## დედამიწის ზურგზე




**ბრიტანელმა ჩაპმანმა დაწერა წიგნი იმის შესახებ, თუ როგორ გაზარდა იგი მაიმუნების ჯოგმა კოლუმბიის ჯუნგლებში**

მარინა ჩაპმანს, რომელმაც არ იცის თავისი ნამდვილი სახელი და ასაკი, ახსოვს მხოლოდ, თუ როგორ გაიტაცეს ოთხი წლისა იგი და მიატოვეს ტყეში. იქ იგი შეიკედლეს კაპუცინებმა, ვისთანაც ქალბატონი ხუთი წელი ცხოვრობდა, სანამ იგი მონადირეებმა არ აღმოაჩინეს. ამ ხნის განმავლობაში მან მოასწრო აეთვისებინა მხეცების ქცევები: გამოსცემდა ისეთივე ხმებს, დაძვრებოდა ხეებზე და იკვებებოდა ხილით.

* * *

**კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში დადგა „საგანგებო სიტუაცია": დამთავრდა დიპლომატების ევაკუაციის ვადა, ყველაფერი მზად არის სარაკეტო „ფეიერვერკისთვის"**



უკვე უახლოეს საათებში ჩრდილოეთ კორეამ შეიძლება გაუშვას რამდენიმე ბალისტიკური რაკეტა ქვეყნის რამდენიმე რაიონიდან, მათ შორის უახლესი „მუსუდანიც". ამ რაკეტების გამოცდა ჯერ არასოდეს მოწყობილა. როგორც ვარაუდობენ, წინასწარი შეტყობინება არ იქნება. ამერიკელ და იაპონელ ძალებს, შესაძლოა, მოუწიოთ სასწრაფოდ მიიღონ გადაწყვეტილება რაკეტების გადატაცების შესახებ.

* * *

**სამხრეთ კორეაში ამოქმედდა კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკისთვის თვალყურის დევნების სპეციალური ჯგუფი**

სამხრეთი კორეის დაზვერვის მონაცემებით, საშუალო სიშორის ბალესტიკური რაკეტის გაშვება შეიძლება მოხდეს დღის განმავლობაში. თავის მხრივ, იაპონიის პრემიერ-მინისტრმა 10 აპრილს გასცა ბრძანება, რომ თავდაცვის სამინისტრომ მიიღოს ყველა აუცილებელი ზომა ქვეყნის მოსახლეობის დაცვისთვის კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის რაკეტის გაშვებასთან დაკავშირებით.

* * *

**ოთხი წლის ამერიკელმა შაშხანა თავის ექვსი წლის მეზობელს ესროლა თავში**

ექიმებმა ვერ შეძლეს ბრენდონ ჰოლტის სიცოცხლის გადარჩენა, თუმცა მისთვის მთელი დღე-ღამე იბრძოდნენ. ბავშვები ეზოში თამაშობდნენ, ოთხი წლის მსროლელი შევიდა სახლში, გამოიტანა შაშხანა და ესროლა ჰოლტს 14 მეტრის მანძილიდან. ამ დროს ორივე ბავშვის მშობლები ახლოს იმყოფებოდნენ.







PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

**წარდგინება**

# შეგვეძლო პრეზიდენტი ხიფათს აგვერიდებინა?!

## ევა გოცირიძის აზრით, კოჰაბიტაცია არ გულისხმობს სამართლებრივი პრინციპებიდან უკან დახევას

***მაშინ, როცა მხარმოტეხილი მიხეილ სააკაშვილი უამრავი დაჟეჟილობით სტამბოლის ამერიკულ ჰოსპიტალში მკურნალობდა, საქართველოში, სასტუმრო „კოპალას " მცირე დარბაზში იურისტები და ექსპერტები იმაზე ბჭობდნენ, რამდენად წაადგებოდა ჩვენს ქვეყანას (ალბათ, პრეზიდენტსაც) იმპიჩმენტის ამოქმედების მექანიზმი... მიხეილ სააკაშვილს სულაც არ აღელვებს კონსტიტუციური „ლაფსუსები" და ონავარივით ველოსიპედით დაჰქრის საკუთარი თუ უცხო ქვეყნის ქუჩებში... მაგრამ მისი თანამოქალაქეებისთვის თუნდაც ღირსების საკითხია, თუ როგორ აგებინებდნენ პასუხს ყველა ჩადენილი დანაშაულისთვის არჩეულ პრეზიდენტს, რომელსაც სამშობლოსა და ხალხის წინაშე გაცილებით მეტი მოვალეობა აკისრია, ვიდრე ველოსიპედით და თხილამურებით „გრიალი"!***






ჩვენი გაზეთი უკვე წერდა სამართლის დოქტორ **ევა გოცირიძის** წიგნის შესახებ **„იმპიჩმენტი ამერიკის შეერთებულ შტატებში",** რომლის განხილვაცა და პრეზენტაციაც რამდენიმე დღის წინათ მოეწყო. შეხვედრას ესწრებოდნენ დარგის სპეციალისტები, ექსპერტები, საზოგადოებრიობის წარმომადგენლები...

როგორც სამართლის დოქტორმა **ირაკლი კობახიძემ** აღნიშნა: „სამართლის მეცნიერება მოკლებულია ასეთ ნაშრომებს. იმპიჩმენტი რატომღაც რეპრესიულ მოვლენად აღიქმება, სინამდვილეში კი ის კონსტრუქციული და პრევენციული უფლებაა. ქალბატონ ევას წიგნში, სწორედ ეს ფუნქციებია კარგად წარმოჩენილი და ახსნილი".

შეხვედრას ესწრებოდა ყოფილი პარლამენტარი **ბაქურ გულუა: „დიდი მადლობა ამ ნაშრომისთვის. 1995 წელს, როცა საქართველოს კონსტიტუციაში ჩაიწერა მუხლი პრეზიდენტის იმპიჩმენტის შესახებ, ძალიან ნაჩქარევად მოეწერა ხელი. არ ყოფილა სახალხო განხილვა, ამდენად ბევრი შეცდომა გაიპარა. ამ ნაშრომში სწორად არის ახსნილი და დანახული ის ასპექტები, რისი გამოსწორება ახლაც შეიძლება"**.

უმრავლესობის წევრი **ზაქარია ქუცნაშვილიც** მიიჩნევს, რომ ქალბატონი ევა არის ახალი თაობის იურიდიული სკოლის ლიდერი, რომელიც არა მხოლოდ ხედავს პრობლემებს, არამედ მას ძალუძს „მკურნალობის" ხერხების შემოთავაზება.

მართლაც, ქალბატონ ევას 2006 წელს მიენიჭა საერთაშორისო სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხი. იყო იუსტიციის საბჭოს წევრი (1998-2000), საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადამიანის უფლებათა ცენტრის დოქტორი (200-2005), საქართველოს უზენაესი სასამართლოს მრჩეველი ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში (2005-2009). არის 60-ზე მეტი პუბლიკაციის ავტორი, მათ შორის სამი მონოგრაფიისა: „მიზეზობრიობა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში" (2006), „სიცოცხლის უფლების დაცვის ზოგიერთი ასპექტი ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და სტრასბურგის სასამართლოს იურისპრუდენციის მიხედვით" (2007) და „გამოხატვის თავისუფლება ღირებულებათა კონფლიქტში" (2008). ამ ნუსხას კიდევ ერთი საინტერესო ნაშრომი „იმპიჩმენტი ამერიკის შეერთებულ შტატებში" შეემატა.

ნაშრომი ქალბატონმა ევამ ამერიკის შეერთებულ შტატებში ხანგრძლივი მივლინების დროს დაწერა. **„ვეცნობოდი ლიტერატურას, ვხვდებოდი ექსპერტებს, კონსულტანტებს, იურისტებს. მართალია, ნაშრომი ამერიკის შეერთებულ შტატებში იმპიჩმენტის მექანიზმს შეეხება, მაგრამ მასში ასევე განხილული მაქვს ინგლისური, რუსული და ქართული მოდელი. იმპიჩმენტი, თუკი მხატვრულად ვიტყვით, თვითგანწმენდის მექანიზმია. მას უწოდებენ ხელისუფლების განაწილების ნერვულ ცენტრსა და დემოკრატიის სასწრაფო დახმარებას"**.

ქალბატონ ევას უკვირს, თუ რატომ არ გამოიყენა პარლამენტმა პრეზიდენტის იმპიჩმენტის მექანიზმი, თუმცა, მისივე დაკვირვებიდან რამდენიმე კომპონენტს ასახელებს. **„სავარაუდოდ, უმრავლესობამ თავი შეიკავა მოდელის უვარგისობის გამო, რადგან სასამართლო არ გამოიტანდა გამამტყუნებელ დასკვნას, თუმცა, ასეთ შემთხვევაშიც კი ამას პოლიტიკური დატვირთვა ექნებოდა...**

ქალბატონი ევა ამბობს, რომ ვინაიდან პრეზიდენტს პირდაპირი წესით ირჩევს ხალხი, იმპიჩმენტის გარკვეულ ბერკეტებსაც საზოგადოება უნდა ფლობდეს და არა მხოლოდ პარლამენტი. მისეული დასკვნა ასეთია: „**სახელმწიფოს დიდი სიმდიდრე არის აქტიური, სამოქალაქო ღირსებით გამსჭვალული ადამიანი. ვფიქრობ, ქართველი საზოგადოება შეძლებს შეინარჩუნოს ეს სიმაღლე და გახდება თავისი ქვეყნის სუვერენული ბატონ-პატრონი!"**

**თეა მოსია**

**საგრძნობი შეღავათი**

**2013-2014 სასწავლო წლიდან სასკოლო სახელმძღვანელოები უფასო იქნება. ამის შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა გიორგი მარგველაშვილმა 145-ე საჯარო სკოლაში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა. მინისტრის თქმით, ამ გადაწყვეტილებით სახელმწიფო საკუთარ კონსტიტუციურ ვალდებულებას ასრულებს.**



წინა ხელისუფლების დროს, სასკოლო სახელმძღვანელობის ბეჭდვა და რეალიზაცია მონოპოლიზებული იყო და, გამომცემლების თქმით, მონოპოლია ხელოვნურად, განათლების და მეცნიერების სამინისტროს ჩარევით მოხდა. კერძოდ, **განათლების სამინისტრომ მემორანდუმი გააფორმა „24 საათი პრინტთან", რაც ამ უკანასკნელის დაფუძნებიდან რამდენიმე თვეში მოხდა და რითაც მან სასკოლო სახელმძღვანელოების დისტრიბუციის უფლება მიიღო. შესაბამისად, 2012 წელს გამომცემელსა და მოვაჭრეებს შორის „24 საათი პრინტის" სახით გაჩნდა დამატებითი რგოლი, რომელმაც გასაყიდი წიგნების მთელი ტირაჟი შეისყიდა და მოვაჭრეებს თავად მიჰყიდა.**

# წიგნით დაზოგილი თანხები

## სასკოლო სახელმძღვანელოებზე მონოპოლისტებს ფრთები შეეკვეცათ

ცნობისათვის, **2012 წელს შექმნილი შპს „24 საათი პრინტის" დამფუძნებლები არიან საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს წევრი მამუკა ფაჩუაშვილი და გაზეთ „24 საათის" გამომცემელი პაატა ვეშაპიძე. როგორც ზემოთ აღინიშნა, სახელმძღვანელოები სარეალიზაციოდ „24 საათი პრინტს" განათლების სამინისტროს ჩარევით გადაეცა.**

**სტამბების წარმომადგენლების ინფორმაციით, საბოლოოდ გასულ და მიმდინარე სასწავლო წელს სახელმძღვანელოების უმრავლესობა „24 საათის" გამომცემლების გავლით დაიბეჭდა.**

განათლების ყოფილი მინისტრის **დიმიტრი შაშკინის ინფორმაციით, სასკოლო სახელმძღვანელოების ბაზარი საქართველოში 60 მილიონ ლარს შეადგენდა. სტამბებში ამბობენ, რომ წიგნის ბეჭდვისას მოგება 15 დან 20%-მდე მერყეობს. შესაბამისად, გამოდის, რომ სახელმწიფოს ხელშეწყობით სახელმძღვანელოების ბეჭდვით „24 საათის" გამომცემლებმა ბოლო ორი წლის განმავლობაში რამდენიმე მილიონი ლარის ოდენობით შემოსავალი მიიღეს.**

გამომცემლობა „დიოგენეს" დირექტორი თამარ ლებანიძე for.ge-სთან საუბარში აცხადებს, რომ **„24 საათი პრინტი" იყო ფაქტობრივი მონოპოლისტი, თუმცა, მაშინ, მას საკუთარი წარმოება არ ჰქონდა და ამიტომ, იძულებული იყო, წიგნები უცხოეთში დაებეჭდა. შესაბამისად, „24 საათი პრინტი" შუამავლის როლს თამაშობდა.**

**„სამინისტროს მხრიდან კატეგორიული მოთხოვნა იყო, რომ „24 საათთან" გვეთანამშრომლა და ჩვენ იძულებულები ვიყავით, დათმობაზე წავსულიყავით. აქვე აღვნიშნავ, რომ ორი წიგნი გვქონდა დასაბეჭდი, რომელთა თაობაზე ჩვენს თურქ პარტნიორებს (ვისთანაც წიგნებს ვბეჭდავდით ხოლმე) კითხვა გავუგზავნეთ და განსხვავება მათ მიერ შემოთავაზებულ ფასსა და „24 საათის" მიერ შემოთავაზებულს შორის 20 000 დოლარი შეადგინა, ცხადია, ამ უკანასკნელის სასარგებლოდ", —** აცხადებს თამარ ლებანიძე.

მისი თქმით, **2012 წლის მთელი სახელმძღვანელოების აქტიური გაყიდვის რამდენიმე სეზონის განმავლობაში „24 საათი" აბსოლუტური მონოპოლისტი იყო და გამომცემლობები იძულებულები იყვნენ, მოვაჭრეებთან ურთიერთობაში ეს შუამავალი რგოლი გამოეყენებინათ.**

**„24 საათი" განათლების სამინისტროს ფავორიტი იყო და ძალიან ვწუხვარ, რომ ამ საქმეში ის დღესაც ფიგურირებს. კერძოდ, განათლების სამინისტრო მასთან პარტნიორობას განიხილავს", —** აღნიშნავს „დიოგენეს" დირექტორი.

გამომცემლობა „ტორის" დირექტორი ირაკლი დოლიძე აცხადებს, რომ თავად „24 საათი" არაფერ შუაშია, რადგან განათლების სამინისტროს მოთხოვნა იყო, რომ გამომცემლებს სახელმძღვანელოები სწორედ ამ სტამბაში დაებეჭდათ.

**„ჩვენთან იბეჭდებოდა სახელმძღვანელოები, რომლებზეც შეკვეთას მაძლევდა გამომცემლობა, მაგრამ გამომცემლობებს უთხრეს, რომ თუ სახელმძღვანელოების დაბეჭდვა უნდოდათ, ყველას „24 საათის" სტამბაში უნდა წაეღოთ შეკვეთები. 2012 წელს კი გამომცემლობებს რეალიზებაც წაართვეს. „24 საათი" ბეჭდავდა კიდეც წიგნებს და რეალიზებას უკეთებდა, მაგრამ ეს „24 საათის" ამბავი არ არის, ამას თავად სამინისტრო კურირებდა", —** აცხადებს ირაკლი დოლიძე.

**გამომცემლების ბრალდებებს აბსურდულს უწოდებს „24 საათი პრინტის" დირექტორი ირაკლი ლეჟავა, რომელიც აცხადებს, რომ „24 საათის" მონოპოლისტობის შესახებ გავრცელებული ინფორმაცია ტყუილია. მისი თქმით, 17 გამომცემლიდან 5 გამომცემელზე მეტთან ურთიერთობა არასოდეს ჰქონია და ეს მონოპოლისტობას არ ნიშნავს. ირაკლი ლეჟავა ამბობს, რომ განათლების სამინისტროსთან სახელმძღვანელობის ბეჭდვის საკითხში თანამშრომლობას მომავალშიც გეგმავს.**

**„რა თქმა უნდა, სამინისტროსთან ვითანამშრომლებთ, რადგან საქართველოში ერთ-ერთი საუკეთესო სტამბა „24 საათს" გააჩნია და თუკი სასკოლო სახელმძღვანელოები საქართველოში დაიბეჭდება, შეუძლებელია ეს „24 საათის" გარეშე მოხდეს. წინასწარი მოლაპარაკებებიც უკვე არის და, სავარაუდოდ, ეს თანამშრომლობა შედგება", —**აცხადებს ირაკლი ლეჟავა.

მისი თქმით, განათლების სამინისტროს მიერ გამოყოფილი თანხა დამაკმაყოფილებელია სტამბებისთვის, რათა მათ სახელმძღვანელოები დაბეჭდონ.

განათლების სამინისტროს წარმომადგენლების ინფორმაციით, **სახელმწიფო დადგა შემდეგი ალტერნატივის წინაშე, ან წიგნები ჩვეულებრივ ყოფილიყო ფასიანი და ეს ბაზარი ყოფილიყო გამომცემლების ხელში, რომლების დიდი უმრავლესობა (16 გამომცემლიდან 13 გამომცემელი) სწორედ სასკოლო წიგნების თემატიკაზე არის შექმნილი და მუშაობენ მხოლოდ სახელმწიფოდან მიღებულ სასკოლო სახელმძღვანელობის შეკვეთაზე, ან აეღო ინიციატივა ხელში, თავად ეწარმოებინა მენეჯმენტი წიგნების დაბეჭდვის და დარიგების საკითხზე და ეს პრობლემა ერთხელ და სამუდამოდ გადაჭრილი ყოფილიყო მოსახლეობისათვის. სამინისტროს წარმომადგენლები აცხადებენ, რომ სახელმწიფოს პოზიცია არის აბსოლუტურად მისაღები და სასიკეთო მოსახლეობისათვის, რადგან რამდენიმე გამომცემლის „კვებას" ამჯობინა, შეემსუბუქებინა მოსახლეობისათვის ის ტვირთი, რასაც ყოველწლიურად სასკოლო სახელმძღვანელოების შეძენა ერქვა. მათივე ინფორმაციით, თითოეულ ოჯახს თითოეული მოსწავლისათვის (კლასის მიხედვით) სკოლის სახელმძღვანელოების ყიდვა 100-დან 180 ლარამდე უჯდება.**

**საერთო ჯამში, წლის განმავლობაში ოთხ მილიონზე მეტი სასკოლო სახელმძღვანელო იყიდება, საერთო ღირებულებით დაახლოებით 45-50 მილიონი ლარი, რისი გადახდაც მშობლებს უწევდათ.**

**ნინო ჟღენტი**

**ინფორმაცია**

## რუსთაველი მოსწავლეები ქსეროასლებით სწავლობენ

**განათლებისა** და მეცნიერების მინისტრი გიორგი მარგველაშვილი და რუსთავის მაჟორიტარი დეპუტატი ზვიად ძიძიგური რუსთავის №21 საჯარო სკოლის პედაგოგებსა და მშობლებს შეხვდნენ. გიორგი მარგველაშვილმა მათ უფასო სასკოლო სახელმძღვანელოებთან დაკავშირებული სიახლე გააცნო და მშობლებისა და პედაგოგების მიერ დასმულ შეკითხვებს უპასუხა.

შეხვედრაზე გიორგი მარგველაშვილმა და ზვიად ძიძიგურმა შეიტყვეს, რომ 17 მოსწავლეს დღემდე სკოლა ეხმარება და ყოველდღიურად თითოეულ მათგანს ყველა საგნის სახელმძღვანელოსა და სასკოლო მასალის ქსეროასლებს უმზადებს.

— მე შეძრწუნებული ვიყავი და არ ვიცოდი, რომ რუსთავის სკოლებში სასკოლო სახელმძღვანელობის ქსეროასლებით სწავლობენ. რუსთავში 13 ათასი მოსწავლეა და 3 ათასს აქვს ასეთი ქსეროასლები. ამ ქსეროასლებისათვის მშობელს ცალკე ქაღალდის შოვნა სჭირდება, ცალკე ქსეროქსი. ამ სკოლის შემთხვევაში, მათ უფასოდ უკეთებენ ქსეროასლებს. აი, ეს არის რეალობა საქართველოში, რომლის შესახებაც მე ვსაუბრობდი, რომ საარსებო მინიმუმსა და საშუალო შემოსავალს შორის განსხვავება არის სულ 8 ლარი და ბუნებრივია, წინააღმდეგობა იმასთან დაკავშირებით, რომ წიგნები დავურიგოთ უფასოდ მოსწავლეებს, ელემენტარულად, აქ არის უბრალოდ არჩევანი, — განაცხადა გიორგი მარგველაშვილმა. იუწყება ინტერპრესი.



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

# საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ს.ს.ი.პ - ბუნებრივი რესურსების სააგენტოს განცხადება

## სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

**სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემია საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი ბუნებრივი რესურსების სააგენტო ელექტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.**

| | | |
|---|---|---|
| ობიექტი № 1 | | |
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ს.ს.ი.პ ბუნებრივი რესურსების სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 578 581 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი გ.გულუას № 6 / 032 72 72 48 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@anr.ge |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) ობიექტის დამუშავება უნდა მოხდეს სამთო საქმისათვის მიღებული უსაფრთხოების წესებისა და ნორმების დაცვით. ბ) ობიექტის დამუშავების დროს მოხსნილი ნიადაგის ფენა უნდა დასაწყობდეს ტერიტორიის რეკულტივაციის მიზნით. გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). დ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | თერჯოლის მუნიციპალიტეტი, სოფ. ჭოგნარის მიმდებარე ტერიტორია, „ცელარის" კირქვის (მოსაპირკეთებელი) გამოვლინება (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა – 23 000 მ³). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | თერჯოლის მუნიციპალიტეტი, სოფ. ჭოგნარის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 10 000 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 1 000 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 2 200 ლარი |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) ობიექტზე არსებული ნიადაგის ფენა უნდა მოიხსნას და დასაწყობდეს ტერიტორიის რეკულტივაციის მიზნით.<br>ბ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>გ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | დუშეთის მუნიციპალიტეტი, სოფ. საკრამულის მიმდებარე ტერიტორია, „საკრამულის" საგურე თიხის გამოვლინება (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 4 000 მ³). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | დუშეთის მუნიციპალიტეტი, სოფ. საკრამულის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 10 000 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 1 000 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 2 200 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2013 წლის 11 აპრილს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2013 წლის 13 მაისს დღის 18.00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2013 წლის 13 მაისს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2013 წლის 13 მაისს დღის 18.00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 5 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |
| **ობიექტი № 36** | | |
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ს.ს.ი.პ ბუნებრივი რესურსების სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 578 581 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი გ.გულუას № 6 / 032 72 72 48 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@anr.ge |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) ობიექტის დამუშავება უნდა მოხდეს ზემოდან ქვემოთ, ქვეყანაში მოქმედი ქვეყანაში მოქმედი სამთო საქმიანობისათვის მიღებული ნორმებისა და წესების დაცვით.<br>ბ) ობიექტის დამუშავების დროს მოხსნილი ნიადაგი უნდა დასაწყობდეს გამომუშავებული ტერიტორიის რეკულტივაციის მიზნით.<br>გ) ობიექტის დამუშავების შემდეგ საჭიროა შედგეს ობიექტის ტოპოგეგმა.<br>დ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>ე) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ქარელის მუნიციპალიტეტი, სოფ. რუისის მიმდებარე ტერიტორია, „რუისის" თიხიანი კონგლომერატის (საშენი მასალა) გამოვლინება (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 86 000 მ³). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ქარელის მუნიციპალიტეტი, სოფ. რუისის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 10 000 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 1 000 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 2 200 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2013 წლის 11 აპრილს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2013 წლის 13 მაისს დღის 18.00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2013 წლის 13 მაისს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2013 წლის 13 მაისს დღის 18.00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 5 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |
| **ობიექტი № 37** | | |
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ს.ს.ი.პ ბუნებრივი რესურსების სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 578 581 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი გ.გულუას № 6 / 032 72 72 48 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@anr.ge |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან;<br>ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს ლიცენზიის გამცემს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას;<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე;<br>დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება;<br>ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს ლიცენზიის გამცემის სამისოდ |



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

| | | |
|---|---|---|
| | | უფლებამოსილი პირი;<br>ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭის და ჭაბურ-ღილის თავმორთულობის მოწესრიგება, ხოლო თვითმდენი ჭაბურღილის შემთხვევაში – მისი ჰერმეტიზაციაც. ლიცენზიის მფლობელი ასევე ვალდებულია უზრუნველყოს წყაროს დაკაპტაჟება;<br>ზ) სალიცენზიო ობიექტზე (ჭა) განხორციელდეს ჭის შემოღობვა;<br>თ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>ი) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ქ. ბორჯომი, დავით აღმაშენებლის ქუჩა, მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა - 1 825 მ$^3$/ წელიწადში). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ქ. ბორჯომი, დავით აღმაშენებლის ქუჩა |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 59 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 5,9 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 212 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2013 წლის 11 აპრილს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2013 წლის 13 მაისს დღის 18.00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2013 წლის 13 მაისს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2013 წლის 13 მაისს დღის 18.00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 25 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის |
| | | ვადაში |

**ობიექტი № 38**

| | | |
|---|---|---|
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ს.ს.ი.პ ბუნებრივი რესურსების სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 578 581 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი გ.გულუას № 6 / 032 72 72 48 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@anr.ge |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან;<br>ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს ლიცენზიის გამცემს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას;<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე;<br>დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება;<br>ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს ლიცენზიის გამცემის საამისოდ უფლებამოსილი პირი;<br>ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭის და ჭაბურ-ღილის თავმორთულობის მოწესრიგება, ხოლო თვითმდენი ჭაბურღილის შემთხვევაში – მისი ჰერმეტიზაციაც. ლიცენზიის მფლობელი ასევე ვალდებულია უზრუნველყოს წყაროს დაკაპტაჟება;<br>ზ) სალიცენზიო ობიექტზე (ჭა) მოწესრიგდეს სარქველი; |

| | | |
|---|---|---|
| | | თ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>ი) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ქ. ახალციხე, თამარაშვილის ქ. N1, მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა - 3 650 მ$^3$/ წელიწადში). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ქ. ახალციხე, თამარაშვილის ქ. N1 |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 118 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 11,8 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 224 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2013 წლის 11 აპრილს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2013 წლის 13 მაისს დღის 18.00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2013 წლის 13 მაისს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2013 წლის 13 მაისს დღის 18.00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 25 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

**ობიექტი № 39**

| | | |
|---|---|---|
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ს.ს.ი.პ ბუნებრივი რესურსების სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 578 581 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი გ.გულუას № 6 / 032 72 72 48 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@anr.ge |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>ბ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ამბროლაურის მუნიციპალიტეტი, სოფ. სადმელის მიმდებარე ტერიტორია, მდ. რიონზე „სადმელის" ქვიშა, ხრეშის გამოვლინება (კატეგორია - $C_2$, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 17 700 მ$^3$). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ამბროლაურის მუნიციპალიტეტი,<br>სოფ. სადმელის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 2 373 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 237,3 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 675 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2013 წლის 11 აპრილს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2013 წლის 13 მაისს დღის 18.00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2013 წლის 13 მაისს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2013 წლის 13 მაისს დღის 18.00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 5 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ძალოსნობა



# ალბანურ ფიცარნაგზე

**ტირანაში** დაიწყო ძალოსანთა ევროპის ჩემპიონატი, რომელშიც საქართველოს სპორტულ ღირსებას დაიცავენ ევროპის შარშანდელი ჩემპიონი რაულ ცირეკიძე (ქუთაისი, 85 კგ), ვაჟა ღონღაძე (ქუთაისი, 94), 23-წლამდელებში ევროპის მე-2 პრიზიორი დავით გოგია (ზუგდიდი, 105), დისკვალიფიკაციის შემდეგ ფიცარნაგზე დაბრუნებული ალბერტ კუზილოვი (თბილისი, 105) და შარშანდელი ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაოს მედალოსანი ირაკლი თურმანიძე (აჭარა, მძიმე წონა).

დღეს ცირეკიძე და ღონღაძე მოსინჯავენ ძალებს.

**ლექსო ცინცაძე**

სამბო

# ლიმასოლში იჭიდავებენ

**ქართველი სამბისტები ნებისმიერი შეჯიბრებიდან ხელდამშვენებული ბრუნდებოდნენ. იმედია, ტრადიციას არც ახლა უღალატებენ. კვიპროსულ ლიმასოლში დღეს იწყება ჭაბუკ და ახალგაზრდა სამბისტთა ევროპის პირველობა. შეჯიბრებაზე ჩვენი გუნდები ასეთი შემადგენლობებით გაემგზავრნენ: ჭაბუკთა ნაკრები:** 48 კგ. თორნიკე ნაგლიაშვილი, 52 კგ. იოსებ მელაძე (ორივე — მცხეთა-მთიანეთი), 56 კგ. სოლომონ თედიაშვილი (კახეთი), 60 კგ. თორნიკე ჭოველიძე (სამაჩაბლო), 65 კგ. გიორგი გუგულაშვილი (თბილისი), 70 კგ. გიგა ნოზაძე (შიდა ქართლი), 75 კგ. აპოლონ ზურაბიანი, 81 კგ. ირაკლი გოგია, 87 კგ. ჯონი ჭითანავა (სამივე — სამეგრელო — ზემო-სვანეთი), +87 კგ. ჯემალ დაბრუნდაშვილი (შიდა ქართლი), მთავარი მწვრთნელი: **მირიან პავლიაშვილი.**

**ახალგაზრდული ნაკრები:** 52 კგ. ლერი ბედინაძე (აჭარა), 57 კგ. თორნიკე მუზაშვილი (მცხეთა-მთიანეთი), 62 კგ. ლუხუმ ჩხვიმიანი, 68 კგ. ბექა ტუღუში (ორივე — სამეგრელო — ზემო სვანეთი), 74 კგ. მიხეილ მეზურნიშვილი (თბილისი), 82 კგ. უშანგი მარგიანი (იმერეთი), 90 კგ. ილია მანველიშვილი (კახეთი), 100 კგ. თორნიკე ოთინაშვილი (სამაჩაბლო), +100 კგ. გუგა კიბორძალიძე (იმერეთი), მთავარი მწვრთნელი: **ავთანდილ ცინცაძე.**



**ლაშა დიდია**

ფეხბურთი

# ადამიანის ბედი

**„მალაგას“ მწვრთნელმა მანუელ პელეგრინიმ საფეხბურთო სამყაროში სახელი მას შემდეგ გაითქვა, რაც მოკრძალებული ესპანური კლუბი „ვილიარეალი“ ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში გაიყვანა, სადაც ხუან რომან რიკელმეს რომ ლონდონის „არსენალის“ კარში დანიშნული პენალტი გაეტანა, ალბათ, გადამწყვეტ რაუნდშიც ათამაშებდა.**





მას შემდეგ ჩილელი სპეციალისტი მადრიდის „რეალში“ მიიწვიეს, თუმცა სამეფო კლუბის ბოსებმა, ტრადიციისამებრ, მასაც წყალში ჩაუყარეს ამაგი და გულნატკენი გამოუშვეს.

და აი, გავიდა რამდენიმე წელიწადი და ბედისწერამ პელეგრინის ახალი გამოწვევა მოუმზადა. საუბარია პრიმერადივიზიონის კიდევ ერთ პროვინციულ წარმომადგენელ „მალაგაზე“, რომელმაც ყველაზე პრესტიჟული ევროტურნირის მეოთხედფინალამდე დაუმარცხებლად გაიკვალა გზა.

**„ბორუსია“ — „მალაგა“ 3:2**
**(პირველი მატჩი — 0:0)**

ბუნდესლიგის ორი უკანასკნელი სეზონის გამარჯვებულმა ქარს გაატანა სტუმრად მოპოვებული სოლიდური უპირატესობა და საპასუხო შეხვედრას ინტრიგა შეუნარჩუნა. თითქოს საზრუნავი აკლდაო, დონ მანუელმა სწორედ ამ დროს შეიტყო მამის გარდაცვალების ამბავი და სამშობლოში მოუწია გადაფრენა, საიდანაც პირდაპირ დორტმუნდში შეუერთდა შეგირდებს.

ეტყობა, დამრიგებლის პირადმა ტრაგედიამ კიდევ უფრო შეადუღაბა ანდალუზიელები, რომლებიც დისკვალიფიცირებული დაცვის ბრაზილიელი ბურჯის ველიგტონისა და საკვანძო საყრდენი ნახევარმცველის ურატას არყოფნის მიუხედავად ღირსეულად გაუმკლავდნენ წყვილის ფავორიტს.

მეტიც — ძირითადი 90 წუთის შემდეგ, ალბათ, ვერავინ წარმოიდგენდა ასეთ დრამატულ ფინიშს, მაგრამ, მოგეხსენებათ, სპორტი სწორედ მოვლენათა ასეთი ზღაპრული განვითარების გამოც გვიყვარს (გაიხსენეთ „მანჩესტერ“ — „ბაიერნის“ 2000 წლის დაუვიწყარი ტრილერი).

ასეა თუ ისე, იურგენ კლოპის გუნდმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ უიმედო ვითარება არ არსებობს.

**„გალათასარაი“ — „რეალი“ 3:2**
**(პირველი მატჩი — 0:3)**

**გოლები:** ებუე, სნეიდერი, დროგბა; რონალდუ (2).

**გიორგი შოთაძე**

კალათბურთი

# დააპურებული სამართალი



**უკვე გაუწყეთ, რომ სუპერლიგის წინა ტურში სამდივნოს თანამშრომელთა მიერ დაშვებული შეცდომის გამო (მათ თბილისის „დინამოს“ ის საბედისწერო ქულა დააკლეს, რომლის ძალითაც „სოხუმმა“ იმარჯვა — 80:79) ზღვისპირელები გაიჭყლიტნენ და კალათბურთის ფედერაციამ გადათამაშების აბსურდული გადაწყვეტილება მიიღო.**

და აი, გუშინ პრინციპულ მეტოქეთა კიდევ ერთი ბრძოლა გაიმართა, რომელიც ვაჟა კვარაცხელიას შეგირდებმა 74:62 მოიგეს.

უიღბლო სტარტის შემდეგ — 6:12 — ისინი მალევე მოეგნენ გონს და ათუაშვილ-ქადარიასტოიაკოვიჩის ტრიოს ძალისხმევით სოლიდური უპირატესობით დაწინაურდნენ — 50:34. სწორედ ამ დროს მიიღო სერბმა გამთამაშებელმა მესამე პერსონალური შენიშვნა, რის გამოც სათადარიგოთა სკამზე გადაინაცვლა.

თითქოს ამ ეპიზოდს ელოდნენო, „თეთრ-ლურჯები“ გააქტიურდნენ და საფინალო სასტვენამდე 5 წუთით ადრე ჩიკვილაძის სამქულიანით ანგარიში გაათანაბრეს — 58:58.

სარბიელზე სტოიაკოვიჩის დაბრუნება საკმარისი აღმოჩნდა მის პარტნიორთა გამოსაფხიზლებლად, რომლებსაც თამაშის სადავეები ხელიდან აღარ გაუშვიათ.

**13 აპრილს სუპერლიგის დასკვნითი ტურია.**

**ვიტალი ჯაფარიძე**

ძიუდო

# გაიხსენეს ენგურ გოგიჩაშვილი

**გორში, გურამ პაპიტაშვილის სახელობის დარბაზში, ენგურ გოგიჩაშვილის ტრადიციული მემორიალი გაიმართა. შეჯიბრებაში 1994-1996 წლებში დაბადებული ძიუდოისტები მონაწილეობდნენ. პირველობისთვის მასპინძლებთან ერთად მცხეთის, დუშეთის, კასპის, ქარელის, ყვარლის, მარნეულის, ბოლნისის, მესტიის და თბილისის წარმომადგენლებიც იბრძოდნენ. ტურნირის ორგანიზატორები იყვნენ გორის მუნიციპალიტეტთან არსებული ჭიდაობის კომპლექსური სასპორტო სკოლა (დირექტორი — ანზორ თენაძე) და შიდა ქართლის ძიუდოს ფედერაცია (პრეზიდენტი — ბორის გოგიჩაშვილი).**

**კვარცხლბეკი**

**50 კგ.** 1. გიორგი მირუაშვილი (გორი), 2. გიორგი შუკვანი, 3. ოთარ თამლიანი (ორივე — მესტია), ბექა მელქუაშვილი (გორი).

**55 კგ.** 1. რატი ასლანიშვილი (თბილისი), 2. ტატო ტატულაშვილი (გორი), 3. როინ რატიანი (მესტია), რამაზ გუგულაშვილი (კასპი).

**60 კგ.** 1. თამაზ ნოზაძე (გორი), 2. სანდრო ხუციანიძე (თბილისი), 3. ვიქტორ ოდიაშვილი, გიორგი ზუბაშვილი (ორივე — გორი).



**66 კგ.** 1. ცოტნე მელაშვილი (თბილისი), 2. ჯუბა ჩიხიაშვილი (ყვარელი), 3. ილია ლეკიაშვილი (თბილისი), ვალერი ახვლედიანი (მარნეული).

**73 კგ.** 1. ვალერი იაშვილი, 2. ლაშა ლიპარტელიანი (ორივე — კასპი), 3. თემო გოგიაშვილი, გიორგი გელაშვილი (ორივე — თბილისი).

**81 კგ.** 1. ლერი დადვანი, 2. სოლომონ ჯოჯუა, 3. ბორის შავრეშიანი (სამივე — ბოლნისი), გიორგი ხოხობაშვილი (თბილისი).

**90 კგ.** 1. ნოდარ ბერიანი (ბოლნისი), 2. ნიკა აბულაძე (დუშეთი), 3. შოთა ჟორჟოლიანი (ბოლნისი), ბორის ბიჩინაშვილი (გორი).

**+90 კგ.** 1. გიგა გელაშვილი (გორი), 2. ზაზა ხუბულური (თბილისი), 3. ნიკოლოზ მახალდიანი (ბოლნისი), დიტო გუგულაშვილი (კასპი).

**გივი გაგუა**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

### პატივგება

# როცა ხსოვნას ასე კეთილს სტოვებ...

**ჩვენს სახელოვან აკადემიკოსთა ერთ ჯგუფს – რობერტ ადამია, გივი ცინცაძე, მინდია სალუქვაძე, ერეკლე გამყრელიძე – წლეულს ოთხმოცწლოვანება დაუდგა. 2011-ში აღსრულებული ბატონი რობერტი – დანარჩენთ ჯვარი ეწეროთ – ოთხმოცისა ახლახან, 6 აპრილს გახდებოდა; და სწორედ ამ დღეს შთამბეჭდავად აღნიშნა ეს საიუბილეო თარიღი რაფიელ დვალის მანქანათა მექანიკის ინსტიტუტის კოლექტივმა, რომელსაც გამოყენებითი მექანიკის გამოჩენილი სპეციალისტი, აკადემიკოსი რობერტ ადამია წლების განმავლობაში ესოდენ ღირსეულად უძღვებოდა და წარუშლელი კვალიც დაუტოვა...**

თვით აღნიშვნა კი ოთხ ნაწილად შედგა: იყო საფლავზე გასვლა და ყვავილებით შემკობა სამუდამო განსასვენებლისა; იყო შეკრება განსვენებულის საცხოვრებელი სახლის (შევარდენიძის ქ. 11) II სადარბაზოსთან, ბარელიეფიანი და სათანადოწარწერიანი მემორიალური დაფის გახსნით, სიტყვების წარმოთქმით (აკადემიკოსი მინდია სალუქვაძე, ინსტიტუტის აწინდელი დირექტორი, პროფესორი თამაზ ნატრიაშვილი, სხვანიც); იყო ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს საგანგებო სხდომა, სად გამოსულებმაც აგრეთბილად ილაპარაკეს რობერტ ადამიაზე – მეცნიერზე, საზოგადო მოღვაწეზე, დაუვიწყარ პიროვნებასა და დირექტორზე; სადაც იუბილარის ხმაც მოისმინეს: ბატონი ოთარი ხომ, ბევრ სიკეთესთან ერთად, პოეზიის ნამდვილი ტრფიალიც გახლდათ და არაერთი ლექსი თუ მონოლოგი ჩინებული დეკლამირებით ჰქონდა ჩაწერილი.

მეოთხე ნაწილი? – ტრადიციული ქართული პურლვინოობა, სადღეგრძელოებსა თუ მოგონებებში გაცოცხლებული ძვირფასი სახელი; და თუ „იქ“, იმ ქვეყნად მართლა არის რამე, როგორ გაიხარებდა ახლანდელ 6 აპრილს ბატონი რობერტის ლამაზი სული...

**თამაზ ებანოიძე**

### ეპიტაფია

# დავით საბაშვილი



ეს უბარაქო წუთისოფელი კიდევ ერთმა კეთილსახელიანმა დიდებულმა ქართველმა დატოვა, საქართველოს დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისთვის მებრძოლ ქართველთა დაღუპვის დღეს – 9 აპრილს 93 წლისა აღესრულა **დავით საბაშვილი**, კაცი, რომელმაც თითქმის მთელი მეოცე საუკუნე სინდის-ნამუსის გზით იარა და ოცდამეერთესაც პირველი ათეული ჩამოსჭრა, კაცი, რომელიც თავისი ცხოვრების წესით ჭეშმარიტად სანიმუშო და მისაბაძი იყო და არა მარტო თავის საკუთარ ოჯახს, არამედ ქვეყანას დააკლდა, რომელ ქვეყანასაც დღეს ასე აკლია ნამდვილი მამულიშვილი კაცები.

დავით საბაშვილი შორეულ 1919 წლის 29 დეკემბერს დაიბადა ოზურგეთში, სადაც 1938 წელს სკოლა წარჩინებით დაამთავრა და თბილისში სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მექანიზაციის ფაკულტეტის სტუდენტი გახდა. შემდეგ რამდენიმე ხანს მექანიზატორად იმუშავა კიდეც. მაგრამ მალე, 32 წლისა, უკვე ოზურგეთის პარტიის რაიონული კომიტეტის მეორე მდივანია, შემდეგ – მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს თავმჯდომარე, ხოლო 1959 წლიდან ლანჩხუთის პარტიულ ორგანიზაციას ჩაუდგა სათავეში და მთელი თხუთმეტი წელიწადი ღირსეულად ემსახურა ხალხსა და რაიონს.

აქ ცალკე უნდა აღინიშნოს ბატონი დავითის ის მამულიშვილური რუდუნება, რაც მან პატარა ლანჩხუთში დიდი ფეხბურთის ასაღორძინებლად გამოიჩინა. ამის შემჩნევა და აღნიშვნა საკავშირო პრესამაც საჭიროდ ჩათვალა. 1960 წელს „გურია“ საქართველოს ჩემპიონი გახდა ფეხბურთში.

1975 წლიდან დავით საბაშვილი სოფლის მეურნეობის სამინისტროს ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების სამმართველოშია, სადაც პერსონალურ პენსიაზე გასვლამდე მუშაობს.

თუ განვლილი წლები ადამიანისთვის ყველაზე დიდი სიმდიდრეა, თამამად შეიძლება იმის თქმა, რომ დავით საბაშვილი ამ მხრივ მართლაც ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი კაცი იყო, რადგან თავისი ხანგრძლივი სიცოცხლის ყოველი წელიწადი მან კაცურკაცობისა და უტყუარი მამულიშვილობით გააშინაარსიანა, მან ყველა ჩვენგანის მარადიული წინაპრის უკვდავი შეგონებით იცხოვრა და არასოდეს არ უგულმავიწყია, რომ სჯობს სახელისა მოხვეჭა ყოველსა მოსახვეჭელსა.

**მეგობრები**

**შვილი მანანა საბაშვილი, სიძე გურამ სალარაძე, შვილიშვილები ეკა, გიორგი სალარაძეები, შვილთაშვილები ბიჭი, რატი ივანიშვილები, სიძე ნიკა ივანიშვილი, რძალი თათა ახობაძე იუწყებიან, რომ გარდაიცვალა**

**დავით ხარიტონის ძე საბაშვილი**

**პანაშვიდი: 11, 12 IV 17 სთ. მის.ირ.აბაშიძის 64, დაკრძალვა 13.IV შაბათს 14 სთ. გამოსვენება ვაკის სამების ეკლესიიდან.**

**გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია გულწრფელ სამძიმარს უცხადებს მანანა საბაშვილსა და გურამ სალარაძეს მამისა და სიმამრის, დიდებული მამულიშვილის**

**დავით საბაშვილის**

**გარდაცვალების გამო.**

### იურიდიული კონსულტაცია

**რუბრიკას უძღვება „საქართველოს რესპუბლიკის“ იურიდიული კონსულტანტი ირინე ღლონტი**

**კითხვა: რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, 2013 წლის 28 თებერვლიდან ამოქმედდა საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამა. გთხოვთ, გვაცნობოთ, მოსახლეობის რომელ კატეგორიას შეუძლია ისარგებლოს აღნიშნული პროგრამით?**

**ანი თევზაძე**

**პასუხი:** საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის მოსარგებლეები არიან საქართველოს მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტის, პირადობის ნეიტრალური მოწმობის, ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მქონე პირები და საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირები, გარდა სახელმწიფო სადაზღვეო პროგრამების მოსარგებლეებისა, 2013 წლის 28 თებერვლის მდგომარეობით კერძო სადაზღვეო სქემებში ჩართული პირებისა და იმ ბრალდებული/მსჯავრდებული პირების, რომლებიც იმყოფებიან პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში.

* * *

**კითხვა: ახალი მთავრობა გვპირდებოდა პენსიის საარსებო მინიმუმამდე გაზრდას, მაგრამ ჯერჯერობით დანაპირები არ შესრულებულა. გთხოვთ, განმიმარტოთ, რა დროიდან მოხდება პენსიის საარსებო მინიმუმამდე გაზრდა და მე, როგორც ასაკით პენსიონერს, ზუსტად რამდენი ლარი მომეცემა ყოველთვიურად?**

**მარიამ მჭედლიშვილი**

**პასუხი:** გაცნობებთ, რომ პენსიის საარსებო მინიმუმამდე გაზრდა გათვალისწინებულია მიმდინარე წლის პირველი სექტემბრიდან. აღნიშნული დროიდან, თქვენ ყოველთვიურად 150 ლარს მიიღებთ.

* * *

**კითხვა: დამსაქმებელმა, რომელთანაც ვმუშაობდი, გამოგვიცხადა ლოკაუტი, ესე იგი, დროებით გვითხრა უარი მოცემული სამუშაოს შესრულებაზე, დასაქმებულთა ჯგუფმა გავასაჩივრეთ მისი გადაწყვეტილება, სასამართლომ ჩვენი საჩივარი სამართლიანად სცნო და ლოკაუტი უკანონოდ ჩათვალა.**

**გთხოვთ, გვაცნობოთ, არის თუ არა ვალდებული დამსაქმებელი, აგვინაზღაუროს იმ პერიოდის ხელფასი, როცა ყოვლად უმიზეზოდ არ მოგვცა სამუშაოს შესრულების უფლება?**

**მამია კოპლატაძე**

**პასუხი:** დიახ, უნდა გადაგიხადოთ, ვინაიდან კანონის თანახმად, თუ სასამართლომ ლოკაუტი უკანონოდ სცნო, დამსაქმებელი ვალდებულია, აღადგინოს შრომითი ურთიერთობა დასაქმებულთან და აუნაზღაუროს გაცდენილი სამუშაო საათები.

**ტელ: 595 05-11-77**

### გახსენება

# გურამ შარაბიძე

## ჩვენო მოუშუშებელო ტკივილო, გური!



11 აპრილს სამი წელი ხდება, რაც ჩვენთან აღარ ხარ, ტკივილიანი და ცრემლიანი სამი წელი. გულს არ სცილდება შენი უსაზღვრო მონატრება და სევდა, მართლაც ძნელია უშენობა. გამართლდა შენი საბოლოო სიტყვა, ნაღვლიანი თვალებით გვიყურებდი და გვეუბნებოდი, როგორ უნდა იყოთ უჩემოდო, ვაი რომ, ვერა ვართ და გვაკლიხართ. გური, შენ იყავი ჩვენი პატრონი და იმედი. დაგვტოვე უპატრონოდ, წახვედი და თან წაიღე ჩვენი სიხარული. მხოლოდ შენს საფლავზე სიარული გვაძლევს ძალას.

გური, შენ, ნადირობაში გამოწრთობილს, სიცოცხლით, გასაოცარი ჯან-ღონით, სიკეთით სავსეს, იუმორის მქონეს, მომღერალსა და მხიარულს თუ რამე წაგაქცევდა, ვერავინ წარმოვიდგენდით.

განწირული იყავი და გული გწყდებოდა, რომ 20 მარტი, შენი დაბადების დღე, რაც ძალიან გიყვარდა, ველარ გადაიხადე. ვერ მოაწყე მონადირეთა „ლომების ქეიფი“, სამეგობროს, სამეზობლოს, სანათესაოს შეკრება, შენ ხომ ყველა გიყვარდა.

დაგვიტოვე ცრემლებით დამწუხრებული შენი მეუღლე რიმა, შვილები რუსუდანი და ნონაკო, შენი მოსიყვარულე ერთადერთი და მანანა.

არ გინდოდა წასვლა, ადრეაო, თქვენთან მინდაო, გვეუბნებოდი, მაგრამ... უფალმა ასე ისურვა და ახლა უფალს შევთხოვთ, რომ ქრისტეს სასუფეველში დამკვიდრებულიყოს შენი მამაცი, შეუდრეკელი, უშიშარი და ვაჟკაცური სული.

განისვენე მშვიდად, ჩვენო დაუვიწყარო გურამ.

**შენი ოჯახი**

### კრიმინალი

# კალაშოვი მალე გათავისუფლდება, - ვის გადასცემენ მას?

**არაბული გამოცემა Albawaba აქვეყნებს სტატიას ესპანეთში გასამართლებულ ქართველ კრიმინალურ ავტორიტეტ ზაქარია (შაქრო) კალაშოვზე, სათაურით „საქართველომ არ უნდა თქვას უარი კალაშოვის ექსტრადიციაზე“.**

როგორც სტატიაშია აღნიშნული, სულ უფრო გაურკვევლია, მოხდება თუ არა რუსული კრიმინალური სამყაროს ავტორიტეტის, კალაშოვის ესპანეთიდან საქართველოში ექსტრადირება, რათა სამშობლოში მისჯილი 18-წლიანი სასჯელი მოიხადოს. ამჟამად კალაშოვი, რომელიც არაბთა გაერთიანებულ საამიროებში დააკავეს და ესპანეთს გადასცეს, სწორედ იქ იხდის სასჯელს. თუმცა, ზაფხულში შესაძლოა, ის თავისუფლებაზე ვიხილოთ საქართველოსა და რუსეთს შორის ურთიერთობის აღდგენის გამო.




რუსეთისა და საქართველოს ორმაგი მოქალაქეობის მქონე კალაშოვი, იგივე „შაქრო მალადოი“, სასჯელს „სოლნცევსკაიას“, „იზმაილოვსკაიასა“ და „ბრატსკის“ დაჯგუფებებთან კავშირისა და ჩადენილი დანაშაულებისთვის იხდის, – წერს არაბული გამოცემა, 2000 წელს ესპანეთში გადავიდა, სადაც დანაშაულებრივი ქსელი „თერთმეტის კლანი“ შექმნა და ესპანეთში მოქმედი რუსულ-ქართული მაფიის ლიდერი გახდა. 2005 წელს ესპანური პოლიციის მიერ ჩატარებული ოპერაცია „კრაზანას“ შემდეგ, რომლის დროსაც რუსეთის, საქართველოსა და უკრაინის მოქალაქეები დააკავეს, კალაშოვმა არაბთა გაერთიანებულ საამიროებში გაქცევა მოახერხა. თუმცა, საამიროებში ის დააკავეს და 2006 წელს ისევ ესპანეთს გადასცეს. ამის პარალელურად, ის საქართველოში დაუსწრებლად გაასამართლეს და 18 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს, – ნათქვამია სტატიაში.

თუმცა, არაბული გამოცემა ესპანურ გაზეთებზე დაყრდნობით აღნიშნავს – მიუხედავად იმისა, რომ კალაშოვი ციხეშია, ის „ქუთაისის კრიმინალურ სამყაროსთან ახლო ურთიერთობაში რჩება, რომელიც საქართველოში ყველაზე საშიშად მიიჩნევა“.

როგორც სტატიაშია აღნიშნული, 2010 წელს ესპანეთის სასამართლო დათანხმდა, 2013 წელს ადგილობრივ ციხეში პატიმრობის ვადის ამოწურვის შემდეგ, კალაშოვი საქართველოს გადასცეს. თუმცა, – როგორც არაბული გამოცემის სტატიაშია ნათქვამი, – ბოლო დროს გაჩნდა კითხვები, მოიხდის თუ არა სასჯელს რუსულ-ქართული კრიმინალური სამყაროს ავტორიტეტი სამშობლოში. საქართველოს ახალი პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი ძლიერი პრორუსული შეხედულებებით გამოირჩევა.

როგორც სტატიაშია აღნიშნული, ამის გამო კალაშოვი რუსეთსა და აშშ-ის შორის გავლენისთვის დაპირისპირების საგნად იქცა. რუსეთს არ გამოუხატავს სურვილი, დასაჯოს კალაშოვი, რომელსაც რუსულ პოლიტიკურ წრეებთან აქვს ურთიერთობა. ამასთან ერთად, არსებობს აშკარა სამხილები, რომ რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრს, რომელიც წესით მაფიის წინააღმდეგ უნდა იბრძოდეს, ახლო, მეგობრული ურთიერთობები აქვს კალაშოვის გარემოცვასთან.

რუსეთის პოლიციისგან განსხვავებით კი, – ნათქვამია სტატიაში, – აშშ-ის კალაშოვის პატიმრობის სურვილი აქვს, რადგან მას ბრალი მიუძღვის ამერიკელი ალექსანდრე კრეინის გატაცებასა და მოკვლაში.

ერთი სიტყვით, – გლობალური პოლიტიკიდან გამომდინარე, ადამიანი, რომელსაც ბრალი ედება ადამიანების გატაცებაში, მკვლელობაში, ფულის გათეთრებაში, კონტრაბანდასა და გამოძალვაში, შესაძლოა, თავისუფლებაზე ვიხილოთ სამწუხაროდ ბევრი ქართველისთვის, რომლებიც მიიჩნევენ, რომ მათი სამშობლო ის სახელმწიფოა, სადაც კანონს პატივს სცემენ. – წერს არაბული გამოცემა.

**ინტერპრესი**

**ფრიდონ თოდუა ოჯახით სამძიმარს უცხადებს სულხან და ლაშა პაპაშვილებს მამის**

**ანზორ პაპაშვილის**

**გარდაცვალების გამო.**

**მეუღლე შოთა ზუკაკიშვილი, შვილები, შვილიშვილები, შვილთაშვილები, რძლები, სიძე იუწყებიან, რომ გარდაიცვალა**

**ქეთევან (აგრაფინა) რაზმაძე**

**პანაშვიდი 11, 12 IV 17 სთ. გამოსვენება 13 IV 12 სთ. მისამართი: ვაჟა ფშაველას გამზირი, მე-2 კვარტალი, XV კორპუსი, II სადარბაზო. დაკრძალვა სოფ. ხაშმში (საგარეჯოს რაიონი).**

რეკლამა
299-62-77;
599 32-85-76.



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

## დაიჯესტი

### გაკოტრებული ქალაქი



**მსოფლიოს ყოფილი სამანქანო დედაქალაქი — ამერიკული დეტროიტი საგანგებო ფინანსური მდგომარეობის შემოღების პირზეა. რვაკაციანი კომისია დეტროიტს გაკოტრების პროცედურისთვის მოამზადებს. რა მოხდება მერე, კაცმა არ იცის.**

1904 წელს ცნობილმა ჰენრი ფორდმა დეტროიტში საავტომობილო ქარხანა, შემდეგ „ჯენერალ მოტორსი“ და „კრაისლერი“ ააშენა, რითაც ქალაქი მალე მსოლიოს საავტომობილო დედაქალაქად გადაიქცა. მაგრამ 1970-იან წლებში მსოფლიოში ბენზინის კრიზისი დაიწყო, საწვავი გაძვირდა და „გაუმაძღარი“ ამერიკული მანქანები „იაპონელებმა“ ჩაანაცვლეს. ქალაქი უმალ გაკოტრების პირას დადგა, მთელი უბნები დაცარიელდა, მიტოვებულ სახლებს კი ყაჩაღთა ბანდები ეპატრონებოდნენ, რომლებიც დეტროიტში მთელი ქვეყნიდან ჩადიოდნენ.

ამის შემხედვარე ფედერალურმა მთავრობამ მიჩიგანის შტატის ხელისუფლებას საგანგებო ფინანსური მდგომარეობის შემოღების უფლება მისცა, რომლის მსგავსი ქვეყნის ტერიტორიაზე არასდროს ყოფილა: მერი მოხსნეს, მისი ადგილი კი გარე მმართველმა დაიკავა. დეტროიტს ვალებში გაყიდიან, რომლებიც ასობით მილიონ დოლარს აღემატება. ყაჩაღები და ხულიგნები კი არანაირ გადასახადებს არ იხდიან, ამიტომ ქალაქის ახალ მეპატრონეებს მათი იქიდან გამოყრაზე საკმაო ძალისხმევა დასჭირდებათ.

### მაცხოვრის სახელით...

**ერთ მშვენიერ დღეს ქალაქ ჟიტომირის მკვიდრი ვლადიმერ რადზიუკი მმაჩის ბიუროში მივიდა და მოითხოვა, რომ მისი ახალშობილი ბიჭუნას საბუთებში სახელი... იესო ქრისტე ჩაეწერათ!**

ეს ამბავი 2002 წელს მოხდა, შესაბამისად ბიჭუნას ამჟამად 11 წელი უსრულდება. დედამისი მას ბოგდანს ეძახის, როგორც ეს თავდაპირველად უნდოდა, მაგრამ მერე მეუღლის სურვილს დაჰყვა. ბიჭები კი მულტფილმებისა და ფეხბურთის მოყვარულ თანატოლს მაქსიკას ეძახიან. იესო-მაქსიკა სკოლაში არ დადის, ლიცეუმის პედაგოგი მასთან სახლში თავად დადის. როგორც მარინა ლუკსაროვა ამბობს, მაქსიკა დამჯერი და ცნობისმოყვარე ბავშვია, საშუალოზე კარგად სწავლობს, თუმცა კი, ცოტა არ იყოს, ბევრი და ხმამაღლა ლაპარაკი უყვარს.



რადზიუკები ერთ პატარა, მჭიდროდ დასახლებულ ეზოში, ერთობ ხალხმრავალ ბინაში ცხოვრობენ. იესო-მაქსიკას სამი და-ძმა ჰყავს, კიდევ მათ ბინაში მამა ვლადიმერის „მრევლი“ იკრიბება. იგი თავს ღვთისმსახურად თვლის, სახლში ანაფორით დაბრძანდება და რეგულარულად დადის კიევში, სადაც მისი „სამწყსოსთვის“ შემოწირულებს აგროვებს და ვაჟიშვილიც თან დაყავს. იესო-მაქსიკას კიევში ყველაფერი აინტერესებს — ქალაქიც და ხალხიც. შარშან მამა-შვილი მაიდანთან მილიციის განწესმა დააკავა, მაგრამ, როცა სამართალდამცველებმა გაიგეს, თუ ვისთან ჰქონდათ საქმე, ცოდვას თავი აარიდეს და რადზიუკები გაუშვეს.

თუ რა დადგება ბიჭუნასგან, როცა გაიზრდება, ჯერჯერობით კაციშვილი ვერ იტყვის, თუმცა, თავად კი ამბობს, რომ... სპეცრაზმში სურს იმსახუროს.

### დილა მშვიდობისა



**თურმე დილა დღე-ღამის ყველაზე ბედნიერი დრო ყოფილა.**

ამერიკელი მეცნიერები ტვიტერის სოციალურ ქსელში ორი წლის მანძილზე პოსტების ანალიზს ატარებდნენ. ამ ხნის მანძილზე მათ 640 მილიონზე მეტ ჩანაწერს მოუყარეს თავი, რომელიც 80 ქვეყნის 2,5 მილიონ მომხმარებელს ეკუთვნის. სტატისტიკური მონაცემების ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ ყველაზე ბედნიერად კაცი თავს დილაობით გრძნობს, საღამოსკენ კი უმრავლესობას გუნება უფუჭდება.

### ბავშვებს ნუ სცემთ!



**ბავშვობაში გადატანილი ფიზიკური სასჯელები მომავალში შეიძლება სერიოზულ სნეულებათა მიზეზი გახდეს.**

საუდის არაბეთში მედიკოსთა მიერ ჩატარებული გამოკვლევის შედეგად დადგინდა, რომ ადგილობრივ ონკოლოგიურ ავადმყოფთა 70 პროცენტს ბავშვობაში ფიზიკურად ძალიან მკაცრად სჯიდნენ. მეცნიერთა აზრით, ფსიქოლოგიური ტრავმები გულის დაავადებებს 30, ასთმის კი 60 პროცენტით ზრდიან.

### მომავალო დედებო, ფრთხილად!



**დანიელ მედიკოსთა მასშტაბური გამოკვლევის შედეგად გაირკვა, რომ ფეხმძიმობის პერიოდში გადატანილი გრიპი დაუნის სინდრომით დასნეულებული ბავშვის გაჩენის ალბათობას ორჯერ ზრდის.**

კერძოდ, თუკი ავადმყოფობის დროს მომავალ დედას მაღალი სიცხე ერთ კვირაზე მეტ ხანს აქვს, აუტიზმის საფრთხე სამჯერ იზრდება.

## ჩვენი პრესდაიჯესტი

### გუშინდელი გაზეთებიდან



### „ნაციონალები ყველაფერზე წამსვლელები არიან“

„**ნაცმოძრაობის**“ 19 აპრილის აქციისთვის „ნაციონალებთან“ ერთად ხელისუფლების წარმომადგენლებიც ემზადებიან. კერძოდ, თუ აქციაზე სერიოზული ინციდენტი მოხდა, ეს დარტყმას პირველ რიგში ახალ მმართველ ძალას მიაყენებს. საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენელი გიორგი ცაგარეიშვილი აცხადებს, რომ 19 აპრილს „ნაციონალების“ უსაფრთხოება მაქსიმალურად იქნება დაცული, რადგან ისინი ყველაფერზე წამსვლელები არიან.

**„ყველა სიახლე“**

### რა ხდება საპატრიარქოს ბავშვთა სახლებში

**სახალხო** დამცველის ოფისთან არსებული ბავშვისა და ქალის უფლებების დაცვის ცენტრის ანგარიშის მიხედვით, რომელიც 2012 წელს გამოიცა, საუბარი ეხება ზესტაფონისა და ბათუმის ობოლ და მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა სახლებს, სადაც, ბავშვთა მონათხრობის მიხედვით, მომვლელების მხრიდან ხდება ფიზიკური ძალადობა, იძულება და ბავშვთა უფლებების უხეში დარღვევა. ამას თვითონ ბავშვები ჰყვებიან. იქ არსებული სიტუაცია ყველა ბავშვისთვის გაუსაძლისია.

**„რეზონანსი“**

### „ფეისბუქის“ ჩემს გვერდს აკონტროლებენ“

— **განგაშს** სტეხს ჩიორა თაქთაქიშვილი. თაქთაქიშვილის განცხადებით, მის „ფეისბუკის“ გვერდზე დაწესებული კონტროლის გამო მოქალაქეები ტერორის მსხვერპლნი ხდებიან. მისი თქმით, რამდენიმე დღის წინათ მას სოციალური ქსელის საშუალებით დაუკავშირდა ზუგდიდელი მოქალაქე მაკა თოდუა, რომელმაც ერთ-ერთ ეთერში გენერალ გიგი კალანდაძის გამოსვლის შემდეგ გადაწყვიტა, სამხედრო პოლიციის მაღალჩინოსან სერგო ჩაჩიბაიას შესახებ მისთვის ინფორმაცია მიეწოდებინა, მაგრამ მის გვერდზე დაწესებულია კონტროლი. — მაგრამ ამ ფაქტს არ შევეშვები და პირადად შევხვდები მაკა თოდუას, — ამბობს ჩიორა.

**„ახალი თაობა“**

### „დღეს ბაგრატის ტაძარი ქართული პროვინციალიზმის ძეგლია“

— **მიაჩნია** ხელოვნებათმცოდნე გოგი ხოშტარიას, — ეს იყო მიშას შეკვეთა, მაგრამ ხელოვნება სულ სხვა სფეროა. ყოველთვის შეიძლება პროკურორი, გამომძიებელი მოატყუო, მაგრამ ნამდვილ ხელოვნებას ვერ მოატყუებ. წინა ხელისუფლება მონუმენტალიზმით, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანს ნიშნავს, დაავადდა. სხვათა შორის, ეს ახასიათებდა რუსულ ბოლშევიზმს, გერმანულ ნაციონალიზმს და, საერთოდ, ტოტალიტარიზმს. ბაგრატის გადაკეთება პიარზე იყო გათვლილი და მემკვიდრეობითობის პრინციპს გულისხმობდა... სააკაშვილმა ტაძრების „გარემონტება“ დაიწყო და ამით ხაზს უსვამდა, ქვეყნის აღმშენებლობა დაიწყოო... სამწუხაროდ, ბევრს არ ესმის ელემენტარული ჭეშმარიტება, რომ ხელოვნების ნაწარმოები არ მეორდება... თანაც ბაგრატის ტაძრის პირვანდელი სახე შემორჩენილი არ არის...

**„ქართული სიტყვა“**

**რეკლამა** გ. ახვლედიანის ქ. №19.
*„საქართველოს რესპუბლიკაში“*
**299-62-77; 599 32-85-76.**

## კადრი



## ანეკდოტები

**— არა, არა, აივნიდან არ გადავძრები, კლაუსტროფობია მჭირს.**
**— მაგრამ კლაუსტროფობია ხომ დახურული სივრცის შიშია. სად ხედავ აქ დახურულ სივრცეს?**
**— კუბოში! კუბოშია დახურული სივრცე!**

* * *

**გაუზიარებელი სიყვარული მტანჯავს. ფულის სიყვარული.**



**— მაპატიეთ, ქალბატონო, რამდენი წლისა ხართ?**
**— დედაჩემი მეუბნება, ოცდათხუთმეტი წლისას გავხარო.**
**— როგორ, დედათქვენი ცოცხალია?**

* * *

**— საერთოდ რად შემომთავაზე აქეთ წამოსვლა? — უსაყვედურებს ქალი კაცს.**
**— მე ხომ არ ვიცოდი, რომ დამთანხმდებოდი.**

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
ზურაბ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოზულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com